№ 13. წელიწადი პირველი ფასი ყველგან 15 კაპ.

# დროშა

## თბილისის პროლეტარიატის დემონსტრაცია




ათავხედებულ ჩინელ მილიტარისტულ ყაჩაღების წინაალმდეგ.

**დემონსტრაცია სასახლის წინ ისმენს ამხ. ფ. მახარაძის სიტყვას.**



**ა. პ. ჩეხოვი**

1904 $\frac{15}{VII}$ 1929

გარდაცვალებიდან ოცდახუთი წლის შესრულების გამო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 13. 1929 წ. 20 ივლისი

დროშა

# იდეოლოგიური ფრონტი*)

მიხ. კახიანი

იდეოლოგიურ ფრონტზე მუშაობის საკითხები ყოველთვის იპყრობდა საქართველოს კომპარტიის სერიოზულ ყურადღებას. ჩვენს ქვეყანაში ადგილი აქვს კლასიური, ნაციონალური და წოდებრივი მომენტების განუზომელ სიჭრელეს. არის თავად-აზნაურთა ინტელიგენციის თვალსაჩინო ფენა, რომელიც, თავის თავად ცხადია, გაჟღენთილია ნაციონალიზმით, ადგილი აქვს კულაკური გავლენის ზრდას, რომელიც აგრეთვე ხელს უწყობს საქართველოში ნაციონალიზმის გაფართოებას. აი რატომ არის, რომ კლასიური ბრძოლის გამწვავებასთან ერთად ჩვენში ადგილი აქვს ნაციონალიზმის ერთგვარ ზრდასაც.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ დროს ინტელიგენცია ჩვენსკენ კიდევ უფრო მეტ მობრუნებას აპირებს. კერძოდ ის ფაქტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს მშრომელი მასების მიერ პოლონელი ფაშისტების წინააღმდეგ გაწართულ სტიქიურ დემონსტრაციასთან დაკავშირებით, ადასტურებს, რომ ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს გვიჭერს ჩვენ. ეს ინტელიგენცია უთუოდ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ არის განწყობილი.

## ნაციონალისტური სულისკვეთება ლიტერატურაში

მაგრამ არის ინტელიგენტთა ერთი ფენა, რომელიც ჯერ კიდევ შორსაა საბჭოთა ხელისუფლებისაგან. შევჩერდეთ ლიტერატურულ მაგალითებზე, კერძოდ მინდა შევეხო მიხეილ ჯავახიშვილს, რადგანაც ზოგიერთმა ჩვენმა კრიტიკოსებმა, მაგალითად ამხ. სუტირინმა, მას ისეთი ატესტატი მისცეს, თითქოს იგი საუკეთესო თანამგზავრი იყოს, ეს, რასაკვირველია, შეცდომაა; ჯავახიშვილი არ არის და არც ყოფილა საუკეთესო თანამგზავრი. ახლა კი უნდა ვიკითხოთ, არის თუ არა იგი, საერთოდ, თანამგზავრი? თანამგზავრი უნდა მიდიოდეს რევოლიუციის გზით, თუ მან ამ გზას გადაუხვია, ის, მაშასადამე, თანამგზავრი არ არის. თუ ავიღებთ ჯავახიშვილის ერთ ნაწარმოებს, სადაც იგი კოლმეურნეობას დასცინის, ნათელი გახდება, რომ ამ კაცს რევოლიუციასთან საერთო გზა არა აქვს. ავიღოთ შემდეგ მისი უკანასკნელი ნაწარმოები — „შავი კლდე“. აქ ჯავახიშვილი ამბობს:

> „ დევ მათ ჩუსტები დააკერონ, ქუჩები მოკირწყლონ, ან მოედანზე გ ვიდენ და ჩვქმენი წმინდონ.—პოეტი მათ საქმეში არ ერევა, მაშ, ნურც ისინი შემოიჭრებიან ჩვენ სამფლობელოში თავიანთი ცოცხებით და თავიანთი სადგისებით და ბირდაბირულით, აგრეთ გენაცვალეთ კალმის წვერში. შეუტიეთ, დასცხეთ, იფრინეთ, ჩუმათ, გიჟი მადური, ჩუმათ, თორემ გაგიგე ენ და შემდეგ გიფრენენ „ხე-ხე“.

ამ ნაწყვეტის მიხედვით თქვენ შეგიძლიათ ამ კაცზე ნათელი მსჯელობა იქონიოთ. ეს არის იმ ადამიანის ფილოსოფია, რომელსაც არ სურს, რომ ლიტერატურაში შეიჭრას „რაზნოჩინეცი“, მუშა და გლეხი თავისი შრომის იარაღებით. ის ამბობს, რომ წმინდა ხელოვნებას სადგისთან და ხერხთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს და სხვ.

შემდეგ მოთხრობაში — „წითელი ლილი“ იგი სწერს:

> „...გონება დიდებული მრჩეველია, მაგრამ მარტო მას არაფერი დიადი არ შეუქმნია, კაცობრიობა ტყვეობიდან არ უხსნია, მუშა-დე ცამდე ოცნებ ი არ დაუნთია და საქმენი საზღაპრონი მარტო დევებს, გოლიათებს და ჭაბუკს სჩადენია“...
>
> კაცობრიობას მარტო ჭაბუკი იხსნის ტყვეობიდან. ამიტომ ის ჩამოიცნავს სადღაც თბს და დაუბრუნებს დაკარგულ ედემს“.

ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ — ვინ არის ეს ჭაბუკი და როგორ უნდა გავიგოთ გამოთქმა — “დაკარგული სამოთხე“.

> „პატარა მიხეილო, მიმართავს თვით გმირი ავტორს — რეპლიკას მ წვდის: ხვალ თუ ზეგ ადამი ნა მთვ რეზე უნდა ატირდეს, მადური კი უკ ნ გაეწევ ო“.
>
> ვუპასუხე: უკ ნ დიდი სიხარული და ბედნიერება დ გვრჩა, წინ კი კაეშანი და სევდა მოსვენების ასეთია, ჭაბუკო, ჩემი რწმენა და გვიანლაა ჩემი შეცვლა“.

ცხადია, რომ მადურის სიტყვებით თითონ ავტორი ლაპარაკობს. „მე ხშირად მგონია, რომ ქართულ ხელოვნებას თავს დასტრიალებს სიკვდილი“-ო, ლაღადებს ჯავახიშვილი.

ეს არის იმ კაცის ფილოსოფია, რომელსაც რევოლიუციასთან საერთო არაფერი აქვს, რომელიც წარსულში სიხარულსა და ბედნიერებას ხედავს, ხოლო წინ მარტოოდენ ცრემლებსა და მწუხარებას.

მითხარით, როდის შემდეგ გახდა შესაძლებელი ასეთ აწერალს თანამგზავრი ეწოდოს? ეს ადამიანი აშკარად შორდება რევოლიუციას, იგი მასთან კავშირს სწყვეტს. როგორ შეუძლია ასეთ მწერალს ხელი შეუწყოს ჩვენი ლიტერატურის შექმნის საქმეს?

მიუხედავად იმისა, რომ ჯავახიშვილს აქვს ზოგჯერ გადახრები თანამგზავრობისაკენ, იგი, საერთოდ, მაინც ჩვენთვის მიუღებელ თხზულებებს სწერს. მისი ნაწარმოები იმის გადამღერებას წარმოადგენს, რასაც ჩვენ ვპოულობთ ემიგრანტულ ლიტერატურაში. მისი ნაწარმოები, მაგალითად, არაფრით განსხვავდება ზოგიერთ „თხზულებიდან“ ჟურნალ „კავკასიონის“-ა, რომელიც გამოსცეს 1929 წელს საქართველოდან გადახვეწილმა „დემოკრატიული“ საქართველოს ცოცხალმა ლეშებმა. ვინმე გელას დაუბეჭდავს ამ ჟურნალში ასეთი ლექსი:

### ჩვენი რაზმები

> მიყვარს უდაბნო მოწყენილი, კრწანისის ველი,
> ირაკლის დიდი მარტოობა, მისი ნაღველი.
> ეი, ირაკლი, გუძახიან ჩვენი რიგები —
> ერთად ვიაროთ და კრწანისის ვზიდოთ ფიქრები.
> მოდი, ირაკლი, ჩვენი რაზმი შენ მოგიწოდებს.
> აგირჩევთ სარდლათ, არა მეფედ, ასე იცოდე...
> ჩვენ გადავულახავთ ადიდებულ მტკვარსა და ლიონს.
> ვეწვევით შავ-ზღვას, გამოვიხმობთ ძლიერ სტიქიონს.
> ეი, ირაკლი, ამ ყ ა ჩვენი ხსენება...
> ჩვენ საქართველოს გიჟები ვართ, ნუ გეწყინება. -

საერთოდ მათ ბანაკში წესად არის შემოღებული ლ ქსების წერა ირაკლიზე და მეფე დედოფლებზე. ირაკლებსა და ვახტანგების მოუხსენებლად ისინი ვერ სძლებენ. „რომ თეთრი გიოოგის“ ეს თაყვანისმცემელი ხალხი გიჟია, ეს არავისთვის საეჭვოა, რომ ისინი დაკარგული ხალხია, რომელიც ვერასოდე ვერ იხილავს საქართველოს, როგორც საკუთარ ყურებს, სეც ეჭვს გარეშეა, მაგრამ ცუდია ის, რომ ასეთს განწყობილებას იზიარებს აქ მწერალთა ზოგიერთი წრეები.

ამჟამად ჩვენ განსაკუთრებით მწვავედ ვაყენებთ საკითხს იმის შესახებ, რომ უნდა გავატაროთ მტკიცე კლასიური ხაზი კულტურის საკითხებში და უნდა ითქვას, რომ ამ დარგში ჩვენ გადახრები გვაქვს. აი რას ამბობს ამხ. სტალინი ნაციონალური და პროლეტარული კულტურის შესახებ:

„ჩვენ ვაშენებთ პროლეტარულ კულტურას. მართალია. ეს სავსებით მართალია ისიც, რომ პროლეტარული კულტურა სოციალისტური თავისი შინაარსით, სხვადასხვა ხალხში მათი ენის, ყოფა ცხოვრების და სხვადასხვაობის მიხედვით, პროლეტარული თავის შინაარსით, ნაციონალური ფორმით, ასეთია ის საერთო საკაცობრიო კულტურა, რომლისკენაც სოციალიზმი მიისწრაფის. პროლეტარული კულტურა არ

*) წერილი ამოღებულია საქ. კომპარტიის VI ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებიდან.

სპობს ეროვნულ კულტურას. იგი იმას შინაარს აძლევს, და პირიქით, ნაციონალური კულტურა არ აუქმებს პროლეტარულ კულტურას, იგი იმას ფორმას აძლევს“.

და, აი, მე ვფიქრობ, ეხლა უნდა გაეარკვიოთ, რომ ამ საკითხში სერიოზული შეცდომები და გადახრები გვაქვს, ვინაიდან ერთი საქმეა როცა ჩვენ ამ კულტურას გვინდა მივცეთ პროლეტარული შინაარსი და ამისათვის გამოვიყენოთ ნაციონალური ფორმები და სულ სხვაა, როცა ნაციონალური და კულტურული სახით ჩვენ ყოველგვარ უმსგავსოებას გვაწვდიან.

როცა ნაციონალური კულტურის სახით ხოტბას ასხამენ მეფე-დედოფლებს ყველა ძველი და ახალი ჯურის წმინდანებს და, საერთოდ, ყოველივე ძველს, არა თუ მისაღებია ასეთი კულტურა, არამედ ჩვენ შევებრძოლებით ამ „ნაციონალურ“ კულტურას. როცა ნაციონალური კულტურის სახით იგონებენ შენობებისათვის ისეთ სტილს, რომ შენობაში სინათლე არ შეიჭრას და რომ ისინი წააგავდნენ ძველ ციხე-კოშკებს, თითქოს ჩვენ თავდაცვა გვჭირდება ვინმესგან პროლეტარული ხელისუფლების პირობებში, ჩვენ არა თუ მივილებთ ასეთ „კულტურას“, არამედ ვიბრძოლებთ ამგვარი „ნაციონალური“ კულტურის წინააღმდეგ. ჩვენ გვჭირდება ისეთი კულტურა, რომელიც შეაიარაღებს პროლეტარიატს და წინ წასწევს მუშების და გლეხების საქმეს.

ტყუილად ფიქრობს ზოგიერთი პოეტი და ხელოვანი, რომ ჩვენ ამ საქმეებში არ უნდა ჩავერიოთ. ჩვენ არა თუ ჩავერევით ასეთ საქმეებში, არამედ ვიბრძოლებთ მათ წინააღმდეგ.

## პროლეტარული მწერლები უნდა ხელმძღვანელობდნენ ლიტერატურას

უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა სასიხარულო მოვლენას. ამიერ-კავკასიის მწერალთა დაახლოებას, მათი კულტურულად დაკავშირებას. და აქ გარკვევით უნდა ითქვას, რომ საქმეს ჩვენ უნდა მივსცეთ პროლეტარული შინაარსი, სწორი ხელმძღვანელობა უნდა გავატაროთ. სხვა სიტყვებით, მწერალთა ამ კავშირში ხელმძღვანელი მთავარი როლი ჩვენს მწერლებს, პროლეტარულ რაზმს უნდა ეკუთვნოდეს, როგორიც არ უნდა იყოს ა.-კ. პროლეტარული მწერალთა მდგომარეობა, ისინი მაინც იმდენად ძლიერნი არიან, რომ მათ უფლება აქვთ ხელმძღვანელობა გაუწიონ ამიერ-კავკასიის ლიტერატურას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს პროლეტარულ ლიტერატორებს საქართველოში აქვთ მთელი რიგი ნაკლოვანებანი, ისინი მაინც იზრდებიან, ქვეყნის ზრდასთან ერთად, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ფრონტებზე მიღწევების ზრდასთან ერთად. ამას წინათ ბეჭდვითი სიტყვის დღის 5 ძაისისთვის პროლეტმწერლებმა გამოსცეს მებრძოლი შინაარსის გაზეთი და უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს მიღწევას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამ გაზეთში გაბედული ტონით ისინი სცხებენ ნაციონალისტურ და ბურჟუაზიულ მწერლებს, რომელთაც სურთ თავიანთ ნაგავის ნაციონალურ კულტურად გასაღება.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ პროლეტარულ ლიტერატორებს აქვთ სერიოზული შეცდომებიც. მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ამ გაზეთში ადგილი დაუთმეს ზოგიერთ პირებს ჩვენი მტრების ბანაკიდან. გაზეთში მოხვდა ტროცკისტ რაჟდენ კალაძის წერილი, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს პროლეტარულ გამოცემათა ფურცლებზე. ეს იყო სერიოზული შეცდომა.

მეორე შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარული ლიტერატორები ყველას ერთმანეთში ურევენ: როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე თანამგზავრებს. ეს წარმოადგენს საშიშროებას იმ მხრივ, რომ ჩვენს პროლეტარულ ლიტერატორებს არ შეუძლიათ დაიპყრონ და მიიზიდონ ისინი, რომლებიც მათთან მიდიან. პროლეტარული მწერლების ამოცანაა—შეიქნენ ჰეგემონი, არ მიუდგნენ ყველას ერთი საზომით, არამედ აწარმოონ თვითეულისადმი ინდივიდუალური მიდგომა და მტკიცე ხელმძღვანელობით წაიყვანონ ისინი, ხოლო აბსოლიუტურად არა საიმედონი ჩამოკვეთილი უნდა იქნან ჩვენგან.

ეს შეცდომები დაშვებული იქნა და ისინი უნდა გა ოსწორდეს. მხოლოდ მაშინ ახალი კულტურის მატარებელთა ნამდვილი ზრდა კიდევ უფრო ფართოდ იწარმოებს.

თეატრალურ ფრონტზედაც აგრეთვე მოგვეპოვება ზოგიერთი მიღწევები. ჩვენი თეატრალური პიესები, მართალია, თარგმნითია, მაგრამ ესეც მიღწევაა, რომ ჩვენი საუკეთესო საბჭოთა დრამატურგების პიესებს ჩვენ დროულად ვდგამთ ჩვენი საუკეთესო ქართული თეატრების სცენაზე. ასეთი მდგომარეობა გასტანს მანამ, სანამ ჩვენი პროლეტარული ლიტერატორები არ შექმნიან საკუთარ ორიგინალურ პიესებს. ეხლა ჩვენ საბუთი გვაქვს იმედი გამოვსთქვათ, რომ უახლოეს დროისთვის გვექნება საკუთარი პიესები. მთელი რიგი პროლეტარულ მწერალთა შეუდგა პიესების წერას (კარლო კალაძე, საჰსონიძე, ზომლეთელი). ჩვენი პროლეტმწერლები შეუდგნენ აგრეთვე პროზის და არა მარტო ლექსის წერას. ეს იქნება ნამდვილი წინ წასვლა და ეს ჩვენს პროლეტარულ მწერლებს გახდის ნამდვილ წინამძღოლებად. ჩვენი პარტორგანიზაციები კი ყოველნაირად უნდა დაეხმარონ ამ მწერლებს, რომ მათ უფრო მეტი მიღწევები ექნეთ იდეოლოგიურ ფრონტზე.

## აფხაზეთის თეატრი



წარსულ სეზონში საფუძველი ჩაეყარა აფხაზეთის ახალგაზრდა დრამას. სოხუმის სახელმწიფო თეატრში ე. გარიკის რეჟისორობით პირველად დაიდგა ხალხური ორიგინალური პიესა ამხ. ს. ჩამბას „მახაჯარი“ პიესა დიდის წარმატებით წავიდა. სოხუმიდან იგი გადატანილ იქნა ბათომში. სურათზე: მესამე მოქმედების ფინალია.

# ა. პ. ჩეხოვი
## გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო
### (ბიოგრაფიული ცნობები)

თ. მ.

ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი დაიბადა 17 იანვარს 1860 წ., ქ. ტაგანროგში, მეშჩანურ ოჯახში.

მისი ბაბუა—ეგორ მიხეილის ძე ჩეხი—იყო ყმა მემამულე ჩერტკოვისა, რომლის შვილმაც შემდეგში თავისი სახელი ასე მჭიდროდ დაუკავშირა ლ. ნ. ტოლსტოის. „თავისუფლების" გამოცხადებამდე ე. მ. ჩეხმა „გამოისყიდა" ოჯახი 3,500 მან. ამ ნაყმევის შვილი, პავლე ეგორის ძე, 1844 წელს დასახლდა ტაგანროგში, სადაც ჯერ მსახურობდა საბაყლო დუქანში, ხოლო ცამეტი წლის შემდეგ გაალო თავისი საკუთარი დუქანი, და შეირთო ტაგანროგელი ვაჭრის ქალი, ევგენია იაკობის ასული მოროზოვა, რომელთანაც ჰყავდა ხუთი ვაჟი—ალექსანდრე, ნიკოლოზი, ანტონი, ივანე, მიხეილი და ერთი ქალი მარია.

ეს იყო ტიპიური მეშჩანური ოჯახი, სადაც მამა ზრდიდა შვილებს, განსაკუთრებით ვაჟებს, „დომოსტროის" წესებით. ბავშვებს ძალიან ეშინოდათ მამის. საეკლესიო გალობის დიდი მოყვარული მამა, აიძულებდა შვილებს ევლოთ საყდარში და ხშირად თავის სახლსაც იყენებდა საეკლესიო პროცედურებისათვის.

ასეთი ბავშობიდან, მომავალ მწერალს, ძალიან ცუდი მოგონებები დარჩა და ეს მოგონებები შემდგშიაც ძალიან აღელვებდნენ მას, რაც სჩანს მისი წერილებიდან და ნაწარმოებებიდან.

ასეთი ფორმალური რელიგიური აღზრდის შედეგად, მომავალი მწერალი ცხოვრებაში შევიდა სრულიად ურწმუნო, და არავითარ ძალას აღარ შეეძლო მისი მიმხრობა, რომელიმე, თუნდაც „განათლებულ" რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძრაობისათვის. „ასეთი აღზრდის წყალობით, მე აღარავითარი რელიგია არა მაქვს,„—ამბობს ჩეხოვი და ამავე აზრს იმეორებს მისი გმირი ლატაევი, მოთხრობაში „სამი წელი".

მაგრამ მიუხედავათ ასეთი აღზრდისა, ჩეხოვმა თავის მშობლებისგან გადმოიღო მწერალ-მხატვრის ნიჭი. ჩეხოვის მამა დიდი არტისტული ბუნების ადამიანი იყო; უყვარდა სიმღერა (თუმცა საეკლესიო), ლოტბარობდა გუნდს და ხატავდა. დედა მისი დიდი ოსტატი იყო ამბების მოყოლაში და როგორც ერთ ერთი შვილის გადმოცემიდან სჩანს, „ბავშვებს ძალიან უყვარდათ მისი მოსმენა."

ბავში შეიყვანეს ჯერ ბერძნულ პირველ დაწყებით სასწავლებელში, შემდეგ გიმნაზიაში. სწავლაში ჩეხოვი ძალიან სუსტობდა, განსაკუთრებით ბერძნულ ენაში. ორჯერ ჩაიჭრა გადასასვლელ გამოცდაში. მხოლოდ უკანასკნელ წლებში სწავლობდა იგი კარგად, რაც აიხსნება იმით, რომ ოჯახი გადასახლდა და ის თავისუფლად გრძნობდა თავს.

სამოცდაათიან წლების ნახევარში, როსტოვსა და კავკავს შუა გაიყვანეს რკინის გზა, რამაც ტაგანროგს დაუკარგა, ისედაც მცირე ეკონომიური მნიშვნელობა. ჩეხოვის მამას საქმეები ცუდათ წაუვიდა. 1876 წ. ის კეტავს თავის სავაჭროს და მიდის მოსკოვში, სადაც უკვე მისი უფროსი შვილები, ალექსანდრე და ნიკოლოზი, სცხოვრობდნენ. სამი წლის შემდეგ ა. ჩეხოვი ასრულებს გიმნაზიას და მისდევს მათ.

ეს იყო წლები, როდესაც მოწინავე ინტელიგენციაში რევოლიუციონური სული შეიჭრა. ნაწილი მოწაფეებისა ეძებდა გასართობს გიმნაზიის კედლებს გარეთ, ნაწილი კი—უფრო სერიოზული—იკრიბებოდა და კითხულობდა პისარევს, გერცენს, ბაკუნინს, ჩეხოვი არ ემხრობოდა არც ერთს, არც მეორეს. მას სულ სხვა აზრები უტრიალებდა თავში. მისი სურვილი იყო გამდიდრება და ეს სურვილი, ცხადია, იყო მისი აღზრდის შედეგი, ვინაიდან ოჯახში სიმდიდრეს ანიჭებდნენ უპირველეს მნიშვნელობას.

1879 წ. ა. პ. ჩეხოვი შედის მოსკოვის უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტზე. 1884 წელს მან დაასრულა უნივერსიტეტი და მიიღო ექიმის სახელწოდება. მაგრამ დიდი სიყვარული მედიცინისადმი მას არ ჰქონდა. მისივე გამოთქმით მედიცინა იყო მისთვის „ცოლი", მაშინ როცა ლიტერატურა მისი „საყვარელი" იყო.



მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, ჩეხოვი იძულებული იყო ხელი მოეკიდა კალმისათვის. ამ ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მალე მან გაითქვა სახელი, როგორც იუმორისტმა. თითქმის შვიდი წლის განმავლობაში (1881—1888) თანამშრომლობდა ჩეხოვი მაშინდელ იუმორისტულ ჟურნალებში სხვადასხვა ფსევდონიმით, როგორიც იყო: ანტოშა ჩეხონტე, ექიმი უპაციენტოთ, ჩემი ძმის ძმა, რუვერი და სხვა.

იუმორისტობიდან ჩეხოვმა სცადა ხელი მოეკიდა უფრო სერიოზულ მუშაობისათვის. და აი, გამოდის მისი ერთად ერთი რომანი „დრამა ნადირობის დროს", რომელიც იბეჭდება მოსკოვის გაზეთში „Новости дня".

ჩეხოვმა მიიქცია გრიგოროვიჩის ყურადღება თავის მოთხრობით „ივგერ". მან აღმოუჩინა ჩეხოვს დახმარება და გააცნო მაშინდელ უპრინციპო გაზეთის „Новое время"-ს გამომცემელს სუვორინს, სადაც მან პირველად დაბეჭდა თავისი მოთხრობა „პანაშვიდი" (1886 წ.) ამის შემდეგ ის ხდება ამ გაზეთის მუდმივი თანამშრომელი.

გრიგოროვიჩისვე დარიგებით ჩეხოვმა დაიწყო სერიოზული მუშაობა, რამაც გამოიღო თავისი ნაყოფი. იბეჭდება მისი საუკეთესო მოთხრობა „Степь", რომელსაც მოჰყვა „Огни", „Именины", „Скучная история".

ამრიგათ ჩეხოვი—იუმორისტულ ჟურნალების თანამშრომელი—გამოდის მხატვრული ლიტერატურის დიდ გზაზე.

ოთხმოცდაათიან წლებში იცვლება ჩეხოვის სოციალური მდგომარეობა. უკვე კარგა ხანია ჩეხოვს უნდოდა ეყიდნა მიწის ნაჭერი და ეცხოვრა ცალკე, მემამულეთ, რაც შეასრულა 1892 წ.

ჩეხოვი დიდი კმაყოფილი იყო თავისი მდგომარეობით. მაგრამ მოუკვდა მამა და მისთვის თითქოს ყველაფერმა დაჰკარგა მნიშვნელობა. დიდხანს ვეღარ გაუძლო ასეთ მდგომარეობას და 1899 წ. გაჰყიდა თავისი „მამული".

1899 წლის სიმშილობამ ჩეხოვი დააფიქრა. ის მიდის ნიჟეგოროდის გუბერნიაში, სადაც აგროვებს ფულს, ყიდულობს საქონელს, რათა გაანაწილოს გლეხებ შორის. ეს ამბები, შემდეგში, ჩეხოვმა გამოიყენა თავის მოთხრობის, „ცოლი"-ს თემად.

როდესაც სიმშილობა შესცვალა ხოლერამ, ჩეხოვი, მაშინდელი მემამულე, როგორც ექიმი, უწევს დიდ დახმარებას გლეხებს. მარამ აქ იგემა ჩეხოვმა, მაშინდელი მაღალი წოდებისაგან, სიგულქვავე და აქედან იწყება მისი შეურიგებლობა მაშინდელ ბიუროკრატიულ რეჟიმთან.

ოთხმოცდაათიან წლებშივე დაუბრუნდა ჩეხოვი თეატრალურ მუშაობას. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი კომედია „ჩაიკა".

მეოცე საუკუნის დასაწყისში, ჩეხოვის პირად ცხოვრებაში მოხდა ცვლილება. გაძლიერებულმა ჭლექმა, აიძულა მწერალი წასულიყო იალტაში. მაგრამ აქაც ვერ ისვენებს, რადგან ხედავს ერთი მხრით ჩასუქებულ, უდარდელ მდიდრ ბს, ხოლო მეორე მხრივ—ჭლექისაგან მომკვდავ ავადმყოფებს. აქაც იწყებს ჩეხოვი ფულის შეგროვებას სანატორიუმის ასაგებათ ღარიბთათვის, მაგრამ აქაც იმავე გულცივობამ გული აუცრუეს და თავი მიანება ამ საქმეს.

ჩეხოვის სახელი, როგორც მწერლის, იმდენად გაიზარდა, რომ 1901 წ. ის არჩეულ იქნა მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ჩეხოვი მოწმე შეიქნა თეატრის აყვავების. 1898 წ. მოსკოვში დაარსდა სამხატვრო თეატრი. თეატრმა გადასწყვიტა წარმოდგენები დაეწყო ჩეხოვის „ჩაიკა"-თი, რომელმაც მარცხი განიცადა პეტერბურგში.

„ჩაიკა" დიდის წარმატებით ჩატარდა, რამაც ჩეხოვს, როგორც დრამატურგს, ახალი იმედები მისცა. ამის შემდეგ ჩეხოვმა შექმნა „ძია ვანო" და „სამი და", ამას მოჰყვა „ალუბლის ბაღი", რომელიც პირველად დაიდგა 1904 წ. 17 იანვარს, ჩეხოვის დაბადების დღეს. წარმოდგენა გადაიქცა ავტორის დღესასწაულად.

რაც უფრო ახლოვდებოდა 1905 წლ. რევოლიუცია, მით უფრო უძლიერდებოდა იმედები ჩეხოვს ახალ წყობილების შესაქმნელად, მაგრამ მის იმედებს არ ეღირსათ გამართლება. ავადმყოფობა თხოულობდა მეტ ყურადღებას. 1904 წლის ზაფხულზე ჩეხოვი მიჰყავთ გერმანიაში, ბადენვეილერში, სადაც მალე გარდაიცვალა.

მისი ნეშტი გადმოასვენეს მოსკოვში და დაასაფლავეს ნოვოდევიჩის მონასტერში.

ჩეხოვის დაკრძალვა გადაიქცა მოსკოვის ინტელიგენციის პოლიტიკურ დემონსტრაციად, რომელიც ძველ მეფის პოლიციურ რეჟიმს უპირდაპირებდა კონსტიტუციური რუსეთის ახალ ლიბერალურ იდეებს, რის თანამგრძნობიც იყო თვით ჩეხოვი.

# სათანადო ზომები

**ა. ჩეხოვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ქალაქი, რომელსაც ადგილობრივ ციხის უფროსის თქმისა არ იყოს, გეოგრაფიულ რუკაზე ტელესკოპითაც ვერ შენიშნავთ, გაჩაღებულია შუდღის მზით. სიჩუმეს და მყუდროებას დაუსადგურებია. ქალაქის სამმართველოდან სავაჭრო მოედნისაკენ მოედინება სანიტარული კომისია, რომელშიც შედიან ქალაქის ექიმი, პოლიციელი მეთვალყურე, ორი ქალაქის რწმუნებული და ერთიც სავაჭრო წრეების რწმუნებული. უკან გოროდოვოები მოაბიჯებენ.. კომისიის გზა, როგორც ჯოჯოხეთის შარა, კეთილ სურვილებით მოფენილა. სანიტარები მოდიან და ხელების ხელით მუსაიფობენ უვარგისობაზე, სიმყრალე-სიბინძურეზე და იმ საშუალებებზე, რომლებიც უნდა გამოიძახოს უსუფთაობის მოსასპობლად. საუბარი იმდენად ჭკვიანური გამოდგა, რომ ყველაზე წინ მიმავალი პოლიციელი შესდგა და აღფრთოვანებით შენიშნა წევრებს:

— აი, ბატონებო, რა კარგი იქნებოდა, რომ ხშირ-ხშირად შევკრებილიყავით! სასიამოვნოცაა, საზოგადოებაშიც თავს ჰგრძნობთ, თორემ რასა ჰგავს, სულ ჩხუბსა და აყალმაყალში მიგვდის დრო, ღმერთს გეფიცებით, მართლა ვამბობ!

— საქმე ისაა, ვისგან დავიწყოთ? — მიჰმართავს სავაჭრო წრეების დეპუტატი ქალაქის ექიმს, ისეთი კილოთი, თითქოს ჯალათი მსხვერპლის შერჩევას შეუდგაო: კარგი არ იქნება, ანიკიტა ნიკოლაიჩ, ოშეინიკოვის სიბაყლო დუქნიდან დავიწყოთ? ჯერ ეს ერთი, დიდი ქოფაკი კაცია, გაიძვერა. და.. მეორეც ის, რომ დროთა კარგამდინაც მივალ იყო.. გუშინ წინ ოსპი მოპიტანეს მისგან. სულ ნათაგურევით იყო სავსე, ასე რომ ჩვენ მუდლეღ კბილიც კი არ დაუკარებია...

— თუ კი ასეა, ოშეინიკოვიდან დავიწყოთ, — უპასუხებს ქალაქის ექიმი, თითქოს ეს მისთვის სულ ერთი იყოს.

სანიტარები შედიან „ოშეინიკოვის ჩაი-შაქრისა, ყავისა და სხვა წვრილმანის დუქანში" და ვრცელ წინასიტყვაობის დაუს ჩაურთველად შეუდგებიან რევიზიას.

— რაღა თქმა უნდა... — ამბობს ექიმი, როდესაც თვალი შეავლო მშვენიერ პირამიდებად აწყობილ ყაზახურ საპნის ნაჭრებს, — ეს რა ბაბილონის კოშკები აგიშენებია! ქალის კოლოფიც ასეთი უნდა! დაშიხედეთ, რაღა! ე-ე-ე! ეს რაღა? ერთი დახედეთ. ბატონებო, დემიან გავრილოვიჩ, როგორ, მოგწონთ, საპონი და პური ერთი და იმავე დანით უჭრია!

— ამით ხოლერა არავის დაემართება, ანიკიტა ნიკოლაიჩ! — ბრძნულად შენიშნავს მედუქნე!

— ეს ასეა, მაგრამ მაინც ხომ გულს აცირებს. სხვა არა იყოს რა, პურს შენგან ვყიდულობ.

— რასა ბრძანებთ, ვინც თქვენისთანა კეთილშობილია, მისთვის სულ სხვა დანასა ვხმარობთ.

პოლიციელი მეთვალყურე დიდხანს აცეცებს თავის ბეც თვალებს ლორის გარშემო, ფხიზლით ჩიჩქნის, სუნავს და სახე შეშლილი შეუტევს მედუქნეს.

— რა ამბავია, რა ქნა, ისეთი სუნი აქვს, თითქოს დარიშხანით შეუზავებიათ!

— რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ, ეგ როგორ შეიძლება...

მეთვალყურე ნერწყვის ყლაპვით ლორს თავს ანებებს და ასმოლოვისა და კომპანიის პროსკურანტს ათვალიერებს. ვაჭრების დეპუტატი ოსპის კასრში ხელს ჩაჰყოფს და რაღაცა ხავერდოვან სირბილეს იგრძნობს. ჩაიხედავს და სახეზე სინაზის სიო დაუბერავს.

— ფისუნებო.. ციცუნებო!.. ჩემო კალგო კუდიანებო! — ეუტიკტიკდა კატის კნუტებს — როგორ ნებივრად ხიხუტებიან ერთმანეთს, თითქოს ფქვილი კი არა, გერმის ბალიშზე ეძინოთ... შენ, ჩემო დემიან გავრილიჩ, ძალიან დამავალებ თუ ერთ კნუტს გამომიგზავნი!

— სიამოვნებით, სიამოვნებით.. როგორ არ გამოგიგზავნით!.. ეხლა, ბატონებო, თუ ჰნებავთ, საუზმეული დაათვალიერეთ. აი, ეს ზუთხია... ან ეს ყველეული... აგერ, ზურგიელიც... აბა ნახეთ, რა ზურგიელია, სწორედ ზუთშაბათს მივიღე... მიშკა, დანა მომაწოდე, პატარა ნაჭერს მოგართმევთ და იგემეთ.

სანიტრები თვითვე იჭრიან და ინაწილებენ მსუქან ზურგიელს, ჰკიდავენ, ტუჩების ცმაცუნით გემოს შინჯავენ.

— საუზმეულზე ვერ დაგემდურებით, — ამბობს თითქოს თავისთვის მედუქნე დემიან გავრილიჩ, — მაგრამ აქ არ ივარგებს... აქ სადღაც ბოთლი უნდა ეგდოს.. თითო ჭიქის შემდეგ სულ სხვა გემო ექნება ამ ზურგიელს.. მიშკა, ნახე ერთი და ბოთლი მოიტა.

მიშკა თვალებსა ჰკიტავს და ლოყების ბერვით ხსნის ბოთლს.



ა. პ. ჩეხოვის ძეგლი ბადენვეილერში (გერმანია), რომელიც იმპერიალისტური ომის დროს კაიზერმა გადაადნო ზარბაზნებად.

---

— ასე უზმოზე ვის გაუგონია, — ამბობს კეფის მოქექვით პოლიციელი მეთვალყურე, — თუმცა თითო თითოს არა უშავსრა.., ოღონდ ჩქარა, დემიან გავრილოვიჩ, ჩვენ შენი ჭორებისთვის როდი გვცალიან.

პატარა ხნის შემდეგ სანიტარები გამოდიან ქონიან ტუჩებს იწმენდენ და ასანთის ღეროით კბილებს იჩიჩქნიან. ახლა მორიგე დუქანი გოლოვიბენკოსია იქაც მისვლაა საჭირო, მაგრამ თითქოს განგებ გავლა შეუძლებელი ხდება... ხუთიოდე ვაჟკაცს, დაჭარხლებული სახით, უზარმაზარი კასრი წამოუგორებიათ, ზეთს კასრის ირგვლივ ქიპქიპი გაუდის.

— აბა, მარჯვენივ!.. ნაპირზე მოსწი, შე ოხერო!.. ფეხს საგორავი შეუდგი.. აი, ეშმაკსაც უზიდიხარ! თქვენ კი ცოტა იქით მიბრძანდით, თქვენო კეთილშობილებავ, ემანდ ფეხი არ გაგისრისოთ!

კასრი კარებში იჭედება და ადგილიდან ვერ დაძრავენ.. ვაჟკაცები ხელახლად ეჭიდებიან, ზეწეწიან, მთელი ძალღონით იძაგრებიან და უშვერად იგინებიან. როდის როდის დაძრავენ კასრასაც, მაგრამ რაღაცა მანქანებით გაგორდება და ისევ კარებში იჭედება. ხელახლად იწყება ხვნეშა, ჭიდილი..

— ფუ! — იფურთხება მეთვალყურე, — შიპუკინთან წავიდეთ, თორემ ეს ეშმაკები საღამომდინ მთელად გზა ვაცდენენ.

შიპუკინის დუქანი დაკეტილი დახვდათ.

— საოცარია, აკი წელან ღია იყო! — სანიტარებმა ერთმანეთს გადახედეს. — როცა ოშეინიკოვთან შევდიოდით, შიპუკინი კარებთან იდგა და ქოთანში წყალს ავლებდა. რა იქნა? — მიჰმართავენ ახლა დაკეტილ დუქნის წინ მდგარ მათხოვარს.

— ღვთის გულისათვის, მოწყალება მიბოძეთ, — თავისიანი იყავი, ჩამოსახმელი სული შეგეწიოს, ქრისტიანული, თუ ღმერთი გწამს, წყალობისა... ბრძანეთ, ჯვარცმული ღმერთის გულისთვის... თქვენ და თქვენ მშობლებს...

სანიტარები ხელს ჩაიქნევენ და გასწევენ ქვეით. გარდა ერთი ქალაქის რწმუნებულისა, რომ ლიც კაპეიკიანს აჩუქებს და, თითქოს რილაცისა შეეშინდაო, ჩქარ-ჩქარა გადიწერს პირჯვარს და გამოეკიდება ამხანაგებს.

ორიოდე საათის შემდეგ კომისია უკან ბრუნდება. სანიტრებს დიდი დაღლილობა ეტყობათ, გაწამებულან, მაგრამ შრომა ტყუილად არ ჩაუვლიათ: ერთი გოროდოვოთაგანი მოწიწებულად მიაბიჯებს და თან მოაქვს მთელი ხონჩა დამპალი ვაშლებისა.

— ამდენი შრომის შემდეგ, — ამბობს მეთვალყურე და თან ათითებს ერთ აბრას, სადაც ეწერა: „ღვინის სარდაფი" — ხო და ურიგო არ იქნება ცოტაოდენი ძალღონე მოვიკრიბოთ.

— ოღონდაც რომ კარგი იქნება... შევიაროთ თუ თქვენც ინებებთ...

სანიტარები სარდაფში იღუშებიან და მრგვალ მაგიდას შემოუსხდებიან მეთვალყურე ვილაცას თვალს ჩაუკრავს და სუფრაზე ხელათ ბოთლი გაჩნდება.

— რა საწყენია, რომ შესატყვისი არა გვაქვს რა, — ამბობს ვაჭრების რწმუნებული და დაჰკრავს და საზეს მეიჰმოხნის, ერთი კიტრიანი ქერი და ნაც არსად გიგდიათ? თუმცა.

მუნებული გოროდოვოისკენ პირს იბრუნებს და ხონჩიდან ამოარჩევს უფრო შენახულ ვაშლს და შეაქცევს

— შეხედეთ, აქ ხოგიერთი სულაც არ ყოფილა დამპალი, — თითქოს გაიოცებს მეთვალყურე, — მომეცი ერთი, ამოარჩიე. ან და სულაც აქ დადგი ეს ხონჩა. რაც კარგებია, ამოვარჩევთ, დავჭუქნით, დანარჩენები ძოსპე. ანიკიტა ნიკოლაიჩ, ჩაასხით ერთი! აი, რა კარგი იქნებოდა, რომ ხშირ-ხშირად ვიკრიბებოდეთ და ვიმუსაიფოთ, თორემ გდიხარ ამ მიყრუებულ ქვეყანაში, სადაც არც განათლებაა, არც კლუბი, საზოგადოება, მხოლოდ ერთი ავსტრალია და მეტი არაფერი! დაასხით, ბატონებო! ექიმო, ვაშლს არ ინებებთ? ერთი ცალი მევე გავუცქვლე თქვენი გულისთვის...

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

— თქვენო კეთილშობილებავ, რა ვუყო ამ ხონჩას? — ეკითხება გოროდოვოი მეთვალყურეს, რომელიც კამპანიითურთ სარდაფიდან ამოდიოდა.

— ხო.., ხონჩა?.. რა ხო.. ხონჩა? ჰო... მეს... მის! ვაშლებიან და მისპე და ესაა!.. თორემ, ვისმეს ხოლერას გააჩენს...

— ვაშლები აკი თქვენ შიირთვით!

— აა, სასიამოვნოა! გამიგონე, ე. ი... წადი ეხლავე და შარია ვასილევნას უთხარი, არ გამიჯავრდესო.. მხოლოდ ერთ საათით, გესმის, ერთ საათით მივალ პლიუხინთან დასაძინებლად. გესმის, დასაძინებლად.. უნდა ძილის ღმერთს ჩავეხვეტო... შპრეხენზი დოიჩ, იგ ნ ანდრეიჩ!

თვალები ზეცას მიაშტერა, თავი წყნარად გააქნია, ხელები გაშალა და მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა თავის:

— ასეა, ასე... ასე მიდის ჩვენი ცხოვრება!..

# ცეცხლითა და მახვილით
## საფრანგეთის დიდი რევოლიუციის 140 წლის თავი

### ნ. მ—ძე

„...ჩვენი რევოლიუცია, ბატონებო, მოხდება მხოლოდ განათლებისა და პატრიოტულ განზრახვების წყალობით... ისტორია მეტად ხშირად მოგვითხრობდა მტაცებელ მხეცების მოქმედების შესახებ, რომელთა შორის ხოლჯერ გამოიყოფიან გმირები; ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ვიწყებთ ადამიანთა ისტორიას"— ასე სთქვა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ერთმა უდიდესმა ოპორტუნისტთაგანმა, ლიბერალური თავად-აზნაურობის და მსხვილ ბურჟუაზიის ერთ-ერთმა ლიდერმა ონორე მირაბომ, დაიმედებულმა იმაში რომ აბსოლიუტური მონარქია ნებაყოფლობით დასთმობდა თავის პრივილეგიებს და ბორკილებს ახსნიდა ბურჟუაზიის თავისუფალ განვითარებას. მაგრამ საფრანგ. ბურჟუაზიას, სანამ თავის ბატონობას საბოლოოდ დაამკვიდრებდა, მოუხდა იმავ „მხეცების" გზით სიარული, რომელთაც ასე კიცხავდა მირაბო.

ჩვენ, შეიარაღებულთ შემეცნების მეცნიერული მეთოდით, გაგვაკვირვებს ეს გულუბრყვილობა. როგორ შეიძლებოდა იმის ფიქრი რომ ესაქმროთა ერთი ხროვა, რომელსაც საფრანგეთის მთელი მოსახლეობის $^{9}/_{10}$ საწველ ფურად ჰყავდა გად ქცეული, ერთნაირად საძულველი ქალაქის მუშე ისათვის (რადგან ამ მექთაბორების მთავრობა მას ართმევდა მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას), ხელოსნებისათვის (რადგან მათ წართმეული ჰქონდათ თავისუფალი განვითარების საშუალება) ბურჟუაზიისათვის (რომელსაც დახშული ჰქონდა თავისუფალი განვითარების გზები, ლეხობისათვის (რადგან მისთვის აუტანელი იყო იმ მძიმე ხარკის გადახდა, რომლითაც ის დაბეგრილი ჰყავდა მემამულეებს და სამღვდელოებას,—რომ ეს მექთაბორები და მისი მთავრობა თავისით დასთმობდა ბატონობას.

ლიუდოვიკ მეთექვსმეტე, რომელიც ხაზინის გამოცარიელებამ აიძულა მოეწვია ენერალური შტატები (წოდებათა წარმომადგენლების კრება ფიქრობდა, რომ ეკან სენელი გამონახავს საშუალებებს შერყეულ ფინანსების გამოსასწორებლად და მისი და არისტოკრატიის განცხრომით ცხოვრება ძველებურად გაგრძელდებოდა.

მაგრამ ეს განზრახვა დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა ინტერესებს ახალი კლასისას, რომელიც მიუხედავად ფეოდალური არტახებისა, მაინც იზრდებოდა, ვითარდებოდა და საგრძნობ ეკონომიურ ძალას წარმოადგენდა. მის პოლიტიკურ წონას აძლიერებდა კიდევ ის გარემოება რომ ის იყო მეთაური და მებაირაღტრე მესამე წოდებაში მოქცეულ ყველა სოციალური ჯგუფების, რომელთა შეგნებაში ლიუდოვიკ XVI აბსოლიუტური მონარქია მათი ბეჩავი და უმწეო მდგომარეობის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა.

მესამე წოდება გენერალური შტატების გახსნაზე მივიდა იმის სრული შეგნებით, რომ იგი არის საფრანგეთის უდიდესი ნაწილის სრული წარმომადგენელი და მოითხოვა, რომ მოსპობილიყო შტატების დაყოფა წოდებათა მიხედვით, ვინაიდან ეს დაყოფა, მიუხედავად მესამე წოდების წარმომადგენელთა სიმრავლისა, უმრავლესობას ანიჭებდა უმცირესობას: თითეული წოდების ხმა—ერთად ითვლებოდა, სამღვდელოება და მემამულეები კი შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ. ლიუდოვიკ XVI უარის თქმამ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე გამოიწვია ის, რომ მესამე წოდებამ თავისი თავი ნაციონალურ კრებად გამოაცხადა. ამ რიგად, თვით მოვლენათა ლოღიკა აიძულებდა ბურჟუაზიას გადაედგა რევოლიუციონური ნაბიჯები.

სამღვდელოება, თავად-აზნაურობა და მეფე იძულებული გახდნენ ეცნოთ მესამე წოდების ეს დადგენილება. მაგრამ ამ „შერიგების" შემდეგაც ლიუდოვიკ XIV-ს არ აუღია ხელი განზრახვაზე აელაგმა ნაციონალური კრების უმრავლესობა, რომელიც „ურჩობას" უბედავდა „მის უდიდებულესობას". მან გასცა ბრძანება ჯარების თავმოყრის შესახებ პარიზის გარშემო, ვითომდა „მღელვარებისა და თვითნებობის ჩაახშობათ". სინამდვილეში მეფეს ჰქონდა ვერაგული გეგმა: როგორაც ულად გაშოეწვია მღელვარება პარიზში, ნაციონალური კრება გამოეყვანა დამნაშავეთ ამ მღელვარების ჩაქრობაში, ამრიგად ახელი გაეტეხა ხალხის წარმომადგენლებისათვის და მით გაეადვილებინა თავისთვის უკანასკნელთა გარეკა. რომ ამ მზაკვრული განზრახვის შესრულებაში მისთვის ხელი არ შეეშალათ, მან გადააყენა ყველა თავისი ხომ ერი მინისტრე'ი (ნეკკერი, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა მოსახლეობაში. და სხვ.) რომელნიც არ თანაუგრძნობდნენ ამ კონტრ-რევოლიუციონერ მიზნებს. მაგრამ ლიუდოვიკს განზრახვა ჩაეშალა. ნეკკერის გადაყენებამ აღშფოთება გამოიწვია პარიზის მოსახლეობაში, რომელიც უკანასკნელი დღეების განმავლობაში ისედაც ბორგავდა მეფის ჯარების საერთო გადაჯგუფების გამო.

„ჩვენ წინააღმდეგ გამოდიან იარაღით; დე ყველა პატრიოსანმა მოქალაქემ იშოვოს თოფი და ემზადოს ბრძოლისათვის", ასე მოუწოდა მეფის ბაღში შეკრებილ მასებს ახალგაზრდა ადვოკატმა კამილ დემულენმა, ნეკკერის გადაყენების მეორე დღეს, 1889 წ. 12 ივლისს. პარიზის მოსახლეობა ამ მოწოდებას არ საჭიროებდა, იგი „თვითნებურად" შეიარაღდა და ყოველ წუთში მზად იყო იერიში მიეტანა მტერზე, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი.

14 ივლისს პარიზის ხალხმა აიღო ბასტილია—ყველაზე საძულველი ძეგლი დესპოტიზმის. ეს იყო სიგნალი რევოლიუციის. პარიზის მაგალითს მიჰბაძა მთელმა საფრანგეთმა. ხალხი იარაღდებოდა ყველგან და აპატიმრებდა თავის მჩაგვრელებს, გლეხობა სწვავდა მემამულეთა კოშკებს და ანადგურებდა მათ ქონებას. გლეხთა აჯანყებებმა შიშის ზარი დასცა არა მარტო მემამულეებს, არამედ ბურჟუაზიასაც. ნაციონალურმა კრებამ სასწრაფოდ გამოსცა დეკრეტი ფეოდალური უფლებათა ლიკვიდაციის შესახებ. ეს დეკრეტი. რასაკვირველია, არ შეიცავდა დაუ ენილებას მიწების გადაცემის შესახებ გლეხობისათვის.



ბ ა ს ტ ი ლ ი ა

ამ საკითხის პრაქტიკულად მოგვარება „მომავლისათვის" იდებოდა, დეკრეტის მიზანი იყო გლეხობის აბობოქრებული ზღვის დაწყნარება. ნაციონალური კრების უმრავლესობა ხედავდა რომ მისი ბრძოლა კაპიტალიზმის განვითარების თავისუფლებისათვის უნებლიედ უხსნის გზას წვრილი ბურჟუაზიისა და მუშების ბრძოლას



დანტონი კონვენტის ტრიბუნაზე

თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური უფლებებისათვის; რომ ეს უკანასკნელნი თავის ბრძოლაში არ ერიდებიან „საკუთრების წმინდა პრინციპის" შებღალვას. ეს კი არ შედიოდა მის ანგარიშში. „საკუთრების პრინციპი" იყო ბურჟუაზიის წმინდათა წმინდა და მას დაუშვებლად მიაჩნდა მისი დარღვევა იმ შემთხვევაშიც, თუ გინდ ეს საკუთრება ფეოდალების ყოფილიყო. ამაში უსათუოდ იყო თავისებური ლოღიკა: რა

შეუშლის ხელს ხალხს, რომელიც დღეს ფეოდალებს ართმევს მამულებს, ხვალ ჩვენს ქონებას მოისდგესო,—ასე ფიქრობდა ბურჟუაზია, მან მიაღწია თავისი უფლებების ფორმალურად ცნობას ფეოდალური მონარქიის მხრივ და მის განზრახვას სრულიად არ შეადგენდა ამ მიჯნის გადაცილება.

კონსტიტუცია, რომლის გამომუშავებასაც შეუდგა ნაციონალური კრება, მიზნად ისახავდა მსხვილი ბურჟუაზიის დიქტატურის განმტკიცებას: საარჩევნო სისტემა, რომელიც დეპუტატად გაზდომის საშუალებას აძლევდა მხოლოდ ყველაზე უფრო შეძლებულებს, მუშათა კავშირების აკრძალვა, აკრძალვა კრებების და პეტიციების თავისუფლების.—ყველა ეს ღონისძიებები მიზნად ისახავდნენ წვრილი ბურჟუაზიისა და ახალგაზრდა მუშათა კლასისათვის საზელმწიფო საქმეებზე ზეგავლენის მოხდენის საშუალების წართმევას. მაგრამ სასახლისა და საზღვარ-გარეთ გადახვეწილი ემიგრანტების ინტერესები იძულებულს ხდიდნენ მსხვილ ბურჟუაზიას ზოგჯერ თავის და უნებურად მიემართა წვრილი ბურჟუაზიის დახმარებისათვის. ასე იყო მაგალითად, როცა ლიუდოვიკ XIV 1791 წლის 20 ივნისს თავისი ოჯახობით გაიქცა პარიზიდან, რომ საზღვარ-გარეთ სათავეში ჩასდგომოდა კონტრ-რევოლუციონერთა ბანდებს. როცა გაქცევის ცდა დამარცხდა და მეფე დააკავეს ვარრენში, მსხვილმა ბურჟუაზიამ აქაც ვერ გაბედა კავშირის გაწყვეტა სიტყვის გამტეხ მეფესთან და გაავრცელა ხმები, თითქო მეფე თვითონ კი არ გაიქცა, არამედ მოიტაცეს, თუმცა მის განკარგულებაში იყო სულ წინააღმდეგის დასამტკიცებელი უტყუარი საბუთები. ნაციონალური კრების ამ სამარცხვინო საქციელმა აღშფოთება გამოიწვია წვრილ ბურჟუაზიაში და ნაციონალური კრების სხვა დემოკრატიულ ელემენტებში, რომლის წარმომადგენლები აშკარად სდებდნენ ბრალს უმრავლესობას ხალხის ღალატში. 21 ივნისს იაკობინელთა კლუბში წარმოთქმული სიტყვა ასე დაამთავრა რობესპიერმა: „. . . თითქმის ყველა ჩემი ამხანაგების, ნაციონალური კრების წევრებისათვის ბრალის დადებით იმაში, რომ ისინი არიან კონტრ-რევოლუციონერები ერთნი უვიცობის წყალობით, მეორენი შიშის, შურის, შეურაცყოფილი თავმოყვარეობის, მესამენი თავისი ჯელუბრყვილობის გამო, მრავალნი იმის გამო, რომ ისინი მოსყიდული არიან,—მე ჩემს წინააღმდეგ ვამხედრებ ყველა პირად თავმოყვარეობას, ჩემს წინააღმდეგ ვლესავ ათასეულ ხანჯალს და ჩემს თავს საყოველთაო სიძულვილის საგნად ვხდი... მე ბრალი დავსდე ნაციონალურ კრებას, დე ნაციონალურმა კრებამ პასუხის-გებაში მიმცეს მე“.



მარატი ტრიბუნაზე

მასები ღელავდნენ და მოითხოვდნენ მეფის გადაყენებას. ამ რევოლუციონური განწყობილების ახალი აფეთქების ზეგავლენით ავსტრიის იმპერატორმა და პრუსიის მეფემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საფრანგეთის „დაწყნარების“ შესახებ საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ გაგზავნილი დამსჯელი ჯარის უფროსი ბრაუნშვეიგის ჰერცოგი კი დედამიწის პირიდან აღგვით დაემუქრა პარიზს, თუ „მეფის თავიდან ერთი თმა ჩამოვარდებოდა“. ნაციონალური კრება კვლავ იძულებული შეიქნა მიეღო ზოგიერთი რევოლუციონური ღონისძიებები (კანონი ემიგრანტების და იმ ხუცების წინააღმდეგ რომელთაც არ დასდვეს ახალი წყობილებისადმი ერთგულების ფიცი), მაგრამ კვლავ არ ფიქრობდა მეფესთან კავშირის გაწყვეტაზე.



რობესპიერი ტრიბუნაზე

საკანონმდებლო კრება, რომელმაც დაიკავა ნაციონალური კრების ადგილი (1791 წ. 31 სექტემბერს) განაგრძნობდა უკანასკნელის გზით სიარულს. ამავე დროს კი საფრანგეთის სამხედრო მდგომარეობა თანდათანობით რთულდებოდა. ლიუდოვიკ XVI არა თუ ყოველმხრივ უშლიდა ხელს ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს, არამედ საფრანგეთის ხალხის მტრებთან ფარული კავშირი ჰქონდა და სამხედრო ხასიათის საიდუმლო ცნობებს აწვდიდა. ასეთ პირობებში ავსტრია-პრუსიის გაერთიანებულ ჯარებზე გამარჯვების იმედი ამაო იყო. მტერი შეიჭრა საფრანგეთის საზღვრებში. ამ ცნობამ აღშფოთების ახალი ტალღა გამოიწვია პარიზელებში.

როცა აშკარა შეიქნა, რომ ჟირონდისტები (მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის პარტია) აშკარად ღალატობენ ხალხს, მონტანიარები (წვრილი ბურჟუაზიის პარტია, რომელსაც მხარს უჭერდნენ შინა-მრეწველები და მუშები) ვერ ბედავენ ახალი რევოლუციის სათავეში ჩადგომას, პარიზის სექციებმა (საუბნო თვითმართველებმა) თავის ხელში აიღეს გადატრიალების მოხდენის საქმე.



გილიოტინა

1792 წ. 10 აგვისტოს „პარიზის ხალხის“ აჯანყებამ დაამხო მონარქია. საკანონმდებლო კრება იძულებული შეიქნა დაეკანონებია მომხდარი გადატრიალება და გამოსცა დეკრეტი ნაციონალური კონვენტის მოწყობის შესახებ. არჩევნებმა უმრავლესობა მისცა ჟირონდისტებს რომლებმაც კონვენტის გახსნის პირველივე დღიდან (1792 წ. 21 სექტემბერი) მკაცრი იერიშები მიიტანეს მონტანიარებზე, რომელთაც 10 აგვისტოს აჯანყებამ გადასცა ძალაუფლება. ისინი შეთქმულებას აწყობენ არა მარტო პარიზში, არამედ პროვინციაშიაც, სადაც კონტრ-რევოლუციამ უკვე წამოჰყო თავი. მაგრამ მასები მონტანიარების მხარეზე იყო, აღფრთოვანებამ, რომელიც მეფის გადაყენებამ გამოიწვია, გაასკეცა რევოლუციონური ჯარების ძალა და მათ სასტიკი დამარცხება აგემეს ლიუდოვიკ XVI-ს მოკავშირეებს, რამაც გამოიწვია ინგლისის ჩაბმა რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულ ფრონტში.

1793 წლის 21 იანვარს ლიუდოვიკ XVI ანუ ლიუდოვიკ კაპეტს თავი მოჰკვეთეს, როგორც ხალხის მტერსა და მოღალატეს.

რევოლუცია სულ უფრო და უფრო მიდიოდა მარცხნივ. ჟირონდისტები აშკარად გადავიდნენ კონტრ-რევოლუციის ბანაკში. ხალხი მათში ხედავდა თავის შეურიგებელ მტრებს და მოითხოვდა სასტიკ რეპრესიებს მათ მიმართ. ეს მტრული განწყობილება ჟირონდისტების მიმართ კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მასების კონტრ-რევოლუციონური აგიტაციის ზეგავლენით შარლოტა კორდემ მოკლა ხალხის მეგობარი—პარიზის ღარიბთა ინტერესების ენერგიული დამცველი მ ა რ ა ტ ი.

მასების ზეგავლენით მონტანიარები იძულებული შეიქნენ დასდგომოდნენ ტ ე რ ო რ ი ს გზას. ამუშავდა გილიოტინა. ყ ო ვ ე ლ ი მხრიდან მტრებით გარს შემორტყმ უ ლ ი ხალხი, რომელსაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ღალატობდნენ, რომლის ჯარების მეთაურები ჰყიდდნენ თავისი ქვეყნის თავის უ ფ ლ ე ბ ა ს, ხალხი რომელიც შიმშილობდა რევოლუციის გულისათვის, შურს იძიებდა თავის აშკარა თუ ფარულ მტრებზე. ბურჟუაზიული წყობილება იშვა სისხლის მორევში და ცეცხლის ზღვაში.



ფუკიე ტენვილი,
ნაც. კონვენტის პროკურორი

ტერორის მძინვარებამ უთანხმოება გამოიწვია თვით მონტანიარებში. მთელი რიგი გამოჩენილ რევოლუციონერების—დანტონის, კამილ დემულენის და სხვ. მეთაურობით ალაპარაკდა ტერორის შენელების შესახებ. მონტანიარების მეორე ჯგუფის—რობესპიერისა და სხვ. ნათელი იყო, რომ ტერორის შენელება ნიშნავდა ფარხმალის დაყრას, დანებებას. სენ-ჟიუსტი აცხადებდა: „ვინც რევოლუციას სანახევროდ აკეთებს, ის თავის თავს საფლავს უთხრის“-ო. იყო—კიდევ მესამე ჯგუფი მონტანიარების პარტიაში—ე. წ. ებერტისტები, რომლებიც ბუნდოვანად გამოხატავდნენ მუშათა კლასის მისწრაფებასა და იდეალებს.

რობესპიერისტები ცდილობდნენ დაეცვათ წონასწორობა დანტონისტებსა და ებერტისტებს

შორის, მაგრამ მოვლენათა განვითარება აიძულებდათ მათ ხან ებერტისტებთან შეეკრა კავშირი დანტონისტების წინააღმდეგ და ხან უკანასკნელათ ებერტისტების წინააღმდეგ რასა-ვირველია, ეს განხეთქილება მონტანიარების პარტიაში, იყო შედეგი კლასთა იმ წინააღმდეგობის გამწვავების, რომელმაც თავი იჩინა გარეშე ინტერვენციის, სამოქალაქო ომისა და ეკონომიური კრიზისის ზეგავლენით. დანტონისტებმა, როგორც წვრილი ბურჟუაზიის უფრო შეძლებული ნაწილის წარმომადგენლებმა დაიკავეს მარჯვენა ფრთა, ებერტისტებმა, წვრილი ბურჟუაზიის ყველაზე უფრო ხელმოკლე ნაწილისა და ნაწილობრივ მუშების წარმომადგენლებმა — მარცხენა, რობესპი რისტები წარმოადგენდნენ ცენტრს.

ბრძოლა მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ დასრულდა ებერტისტების დაპატიმრ ბით. კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები ხეიმ ბდნენ. რობესპიერისტებისათვის ნათელი შეიქნა, რომ საფრთხე მარჯვენიდან რეალურ სახეს იღებს და ახლა თავისი მახვილი მიმართა მარჯვნივ. დანტონისტების ფრაქცია განადგურებული იქნა. თვით დანტონმა თავისი სიცოცხლე გა-თავა გილიოტინაზე.

მაგრამ ებერტისტების დარბევამ ყოველგვარი ნიადაგი გამოაცალა რობესპიერისტებს მოსახლეობის ღარიბ ნაწილში, მონტანიარების ცენტრის ეკონომიური ღონისძიებების დამარცხებამ კი საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია, რევოლიუციონური ჯარების გამარჯვებამ ინტერვენტებზე დაარწმუნა ბურჟუაზია, რომ კონტ-რევოლიუციონური საფრთხე გაქრა. მ.ნ საჭიროდ ალიარა ტერორისტების ლიკვიდაცია, რობესპიერის წინაღ დეგ შეიქმნა მძლავრი ოპოზიცია.

1794 წლის 27 ივლისს კონვენტმა მიიღო დადგენილება რობესპიერის და მისი ამხანაგების მიცემის შესახებ პასუხისგებაში.

ამ დღიდან რომელიც საფრანგეთის ისტორიაში ცნობილია, როგორც „9 ტერმიდორის დღე“, იწყება რევოლიუციის დაქანება მარჯვნივ. ჟანდარმის მიერ დაჭრილი რობესპ-ერი და აგრეთვე მისი ამხანაგები გილიოტინაზე ათავებენ სიცოცხლეს.

* * *

მსხვილმა ბურჟუაზიამ მოიპოვა თავისუფლება. ცეცხლითა და მახვილით აღგავა ფეოდალური ნაშთები. ამ ბრძოლაში ფეოდალიზმთან



შარლოტა კორდე

მან გამოიყენა წვრილი ბურჟუაზია. და როცა გზა თავ-სი განვითარებისათვის საკმაოდ გაკაფულად მიიჩნია, განდევნა წვრილი ბურჟუაზია და თვითონ მოჰკიდა ხელი მართვაგამგეობას. თავის ქვეყანაში გამარჯვების შემდეგ საფრანგეთის ბურჟუაზიამ განიზრახა ბურჟუაზიული წყობილების დროშის აფრიალება იმ ქვეყნებშიც, რომლებიც მის წინააღმდეგ ამხედრდნენ ფეოდალიზმის დასაცავად.

კორსიკანელმა კაპრალმა—შემდეგში ნაპოლეონ პირველმა—ეს დროშა გაატარა მთელი ევროპის კიდით კიდემდე და დედამიწის ერთი კონტინენტი სისხლით მორწყო ბურჟუაზიული თავისუფლების გულისათვის.

მესამე რესპუბლიკის (ასე უწოდებენ საფრანგეთის ახლანდელ რეჟიმს) გმირები და ბურჟუაზიული „თავისუფლების“ და „ჰუმანიტარობის“ სხვა მოტრფიალენი ბევრს ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატის „სისხლის მსმელობასა“ და ჩეკას „საშინელებებზე“, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის 140 წლის თავზე ჩვენ შეგვიძლია ურჩიოთ მათ გაიხსენონ თავიანთი გმირი რევოლიუციონური წინაპრები და ის, თუ როგორის სისასტიკით ებრძოდნენ ისინი კონტრ-რევოლიუციას. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს არავითარი საბაბი არა აქვს მეტის ლმობიერებით მოეპყრას თავის მტრებს, ვიდრე ეპყრობოდენ მონტანიარები. ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ „ვინც სანახევროთ აკეთებს რევოლიუციას, ის თვით თხრის თავის საფლავს“.



ხალხური მომღერალი ერქომაიშვილი, 83 წლისა, გურულ გუნდის ლოტბარის მამა.



თბილისის მაუდის ქარხნის საქსოვი ნაწილი



ბაბილოძე, 83 წლისა, ერქომაიშვილის გუნდში ერთი საუკეთესო ხალხური მომღერალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიდუბეში, გერმანელთა ახალშენის ახლოს, მაუდის ქარხნის საამშენებლო ნაწილი სრულიად დამთავრებულ

ვასო გორგაძე

## მეჯუდას

მეჯუდამ სთქვა: „ავდიდდები
მტკვარსაც არ დავედარები“,
ხალხური.

მე ერთხელ ვნახე შენი ნაპირი—
პურის თავთავით სავსე გორები;
მაშინ ჭალებში დინჯი ნაბიჯით
ცქრიალა ტალღებს მოაგორებდი.

მწვ ნე კომბ–სტო კვლებზე ჰყვაოდა
ოქროფრთებიან მზით დაძინძული
და გათენისას მწიფე ახოდ ნ
მოჰქონდა ნიავს ატმების სუნი.

მაგრამ მიიახავს დრო უფრო მკაცრი—
შენ მღვრიე სტომაქს შურით ინთებდი
და ყრუ ხეობას ანგრევდი ბრაზით—
გაშმაგებული ნადირი მთების.

ახლა?—მე თითქოს ველარ გიცანი...
რაგ წელმაგარი ზვი თებ ს ძგერა—
ვით დიადემა ოქროოსანი
დაჰყრია ყანებს ელექტრო ჩქერად.

დღეიდან, ვიცი, მარჯვენა მტკ ცე
როდესაც ტრაქტორს გაუბამს ხნულებს
ერთ დროს იძვინვარე ლომის სიფიცხის
გლეხი შენ აღარ გისაყვედურებს.

იქნება შრომა და თავდადება—
უშრეტი ნების ცეცხლით გზნებული
და თქვენ ძმურ შრომას ქებით დახვდება
ალტაც ებული პოეტის გული!

25/VI—29.



ახალქალაქის ჰიდრო სადგური.

# ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა



ამჟამად საქსოვ მანქანებს აწყობენ. ტეხნოლოგიური ნაწილი დაამუშავა პროფ. კ ა ნ ა რ ს კ ი მ.



მუშაობა მანგლისის გზატკეცილზე.



ხილის ბაღებში სასხურავი მანქანა სოჭის საბჭოთა მეურნეობაში.

გ. ძუჩიშვილი.

## სამეგრელოში

ვიშ, რა სანეტაროა
ფიქრი სამეგრელოზე;
ყველგან აწყივე ტაროა
ს მინდების ღეროზე.

აქეთ-იქით ყანები,
ოდა, ეზო, ძინდვრები,
ყველას ვეთაყვანები
და განცდებით ვმდიდრდები.

აი მეურნეობაც:
ძმური, კოლექტიური;
ხალისი და მხნეობა,
გარჯა ყოველდღიური

აჰა, ალვის ხეებიც
ტაშ-ფანდურით გვხვდებიან;
მზე-ქალთა სახეები
ჩნდებიან და ჰქრებიან.

როგორც გუნდი წეროთა
მიეჭრით ამხანაგები;
გულიც სასიმღეროთა
აპირთავდა ჰანგებით.

და დავძახეთ ლალათა:
„მიყვარს ფაცხა მეგრული“;
გული გვექცა ბაღათა,
გული გრძნობით შეკრული.

აი სადა ქოხიცა
გულუხვ მასპინძელისა;
ხის ქვეშ ჭრელი ნოხიცა
ნოხზე ნუკრი შველისა.

# ქართული წიგნის ბეჭდვის სამასი წლის თავი

ს. კაკაბაძე

ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა თანამედროვე ცხოვრების წინსვლაში თავის თავად ცხადყოფს, თუ რატომ ყოველი ხალხი განსაკუთრებული პატივისცემით და თბილი გრძნობით აღნიშნავს იმ პირველ თარიღს, როდესაც წიგნების ხელით წერა შესცვალა საბეჭდავმა დაზგამ. ეს იყო უკვე წიგნის წარმოების მძლავრი მექანიზაცია, რომელსაც პირვანდელი პრიმიტიული დაზგის სახითაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის აზროვნების და კულტურულ ცხოვრების წინსვლისთვ ს. გუტენბერგის მიერ გაკეთებულმა ასოებმა და მისმა დაზგამ 1436 წელს (გუტენბერგის ეს პირველი სტამბა გაიმართა გერმანიაში) ნამდვილი რევოლიუცია მოახდინა კაცობრიობის ახალს ცხოვრებაში. ეს იყო ერთ-ერთი იმ დიდი აღმოჩენათაგანი, რომელთაც თანდათან მიყავთ კაცობრიობა მუდმივ წარმატებისა და მკვიდრ მომავლისაკენ.

სხვადასხვა არახელსაყრელ პირობების გამო (აზიაში ნაკლებ კულტურულ დიდ ხალხების გვერდით ყოფნა, მუდ-



1841 წ. პეტერბურგში დაბეჭდილ „ვეფხის ტყაოსნის“ გვერდი (აკადემიური შრიფტი

მივი თავდასხმები, შემოსევა-აოხრებანი და სხ.) ქართველი ხალხისთვის ევროპის ცივილიზაციის ეს უდიდესი მონაპოვართაგანი შედარებით გვიან გახდა მისაწვდომი. შემთხვევითი არ არის აგრეთვე ის გარემოება, რომ პირველად ქართული ასოები ევროპაში, სახელდობრ რომში, იქნა ჩამოსხმული და პირველი ქართული წიგნიც იქ დაიბეჭდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან საქართველოში XVI და XVII საუკუნეებში მეტად მძიმე მდგომარეობის გამო (ოსმალეთის და სპარსეთის აგრესიული პოლიტიკა და სხ.) ადგილობრივ კულტურულ მუშაობას ხელფეხს უბორკავდა ძნელად დასაძლევი სხვადასხვა როგორც საგარეო, ისე შინაური დაბრკოლებანი. დაუვიწყარია ამ მხრივ მე-XVII საუკუნის პირველ ნახევრის ქართველ გამოჩენილ დიპლომატის ნიკიფორე (ნიკოლოზ)



1709 წ. თბილისში დაბეჭდილ წიგნის თავფურცელი.

ირუბაქიძის ღვაწლი. ეს ნიკიფორე ჯერ კიდევ ახალგაზრდა, თავისი სადიპლომატო კარიერის დასაწყისში, თეიმურაზ ქართლ-კახეთის მეფის ძიერ რომში დახმარების სათხოვნელად იყო მივლინებული და იქ ის იწყებს ზრუნვას ქართული ასოების ჩამოსასხმელად. ნიკიფორე ირუბაქიძემ დააინტერესა ამ საქმით და საზოგადოთ ქართული ენით იტალიელი პაოლინი, რომელიც შეუდგა ქართული ენის შესწავლასაც. სამწუხაროდ, ნიკიფორეს არ შეეძლო საქმეების გამო რომში დიდხანს დარჩენა, ასე რომ $1^1/_2$ წელიწადს იქ მყოფობის შემდეგ 1628 წ. ის იძულებული იყო უკან წამოსულიყო. მაგრამ პაოლინს არ შეუწყვეტია ნიკიფორესთან ერთად დაწყებული საქმე და 1629 წ. ჩვენ ვხედავთ რომში გამოცემულს ო რ წ ი გ ნ ს: ქართულ-იტალიურ ლექსიკონს და ქართულ ლოცვანს. ტეხნიკურად ორივე წიგნი გამოცემულია ძლიერ კარგად. ქართული ასოები ჩამოყალიბებულია ძლიერ ლამაზად, ასე რომ ნიკიფორესა და პაოლინის შრიფტი ამ მხრივ თვალსაჩინოდ სჯობია ზოგ შემდეგდროინდელ ქართულ შრიფტს. ამით ჩაეყარა საფუძველი დიად საქმეს... ქართველებმა უკვე დაინახეს დაზგაზე დაბეჭდილი ქართული წიგნი და ამის შემდეგ ქართული წიგნის ბეჭდვის მომავალი უკვე უზრუნველყოფილი იყო.

რომში ქართული წიგნის ბეჭდვა შემდეგაც გრძელდებოდა. 1643 წ. იქ გამოვიდა ქართული ენის გრამატიკა, შედგენილი ლათინურ ენაზე ფრანცისკო მაჯიოს მიერ. ეს წიგნი იქვე გამოვიდა მეორე გამოცემად 1670 წ.

იმავე მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობით აიხსნება, რომ თვით საქართველოს ტერიტორიაზე ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე ჯერ კიდევ კარგა ხანია ვერ ეწყობოდა. 1705 წ. ქართული სტამბა გაიხსნა მოსკოვში. სტამბა გახსნა იმერეთიდან ხუთჯერ გახდევნილმა არჩილ მეფემ (პოეტმა). ამ სტამბაში იყო მხოლოდ ხუცური ასოები. ეს სტამბა შემდეგ გაუმჯობესებულ იქნა. 1743 წ. ამ სტამბიდან გამოვიდა უზარმაზარი წიგნი—დაბადება ქართულ ენაზე. ქართული წიგნების ბეჭდვა მოსკოვში ამის შემდეგაც გრძელდებოდა. სტამბის პატრონები და მომვლელ-გამძღოლნი იყვნენ საქართველოდან გარდახვეწილნი ქართველები (მეფე-ბატონიშვილები და სხვანი). XVII—XVIII საუკუნის განმავლობაში დაიბეჭდა ქართულად რომში 8 წიგნი (ამათში 5 წიგნი მე-17 საუკუნეში), ხოლო მოსკოვში დაწყებული 1705 წლიდან ვიდრე 1768 წლამდე, 18 წიგნი.


DITTIONARIO
GIORGIANO
E ITALIANO.
COMPOSTO DA STEFANO PAOLINI
AD VSO DE' MISSIONARII
IN ROMA
CIↃ DC XXIX.
CON LICENZA DE' SVPERIORI.

1629 წ. რომში დაბეჭდილ ქართ.-იტალიურ ლექსიკონის თავფურცელი.

XVIII საუკუნის პირველ წლებში ქართული წიგნი დაიბეჭდა ვალახეთშიც (რუმინეთში). აქ ამ დროს ცხოვრობდა ერთი ქართველი სასულიერო წოდების პირი სახელით ანთიმი, ანუ ანთიმოზი, განათლებული ადამიანი და სტამბის საქმის დიდათ მოყვარული. მან და-

არსა სტამბა, რომელშიც ბეჭდავდა წიგნებს ზოგიერთ აღმოსავლურ ენაზე (ასოებიც მის მიერ ჩამოსხმული ყოფილა). ერთი გერმანელ მკვლევარის, გასტერის ცნობით, ანთიმოზს ჩამოუსხავს ქართული ასოებიც, დაუბეჭდია სასულიერო წიგნი კონდაკი და გაუგზავნია სამშობლოში. სამწუხაროდ, ეს წიგნი ჯერ აღმოჩენილი არ არის. არც ანთიმოზის შესახებ დეტალურ ცნობების შეკრებაზე უ უშავნია ვისმეს, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ დასახელებულ პირს თვალსაჩინო როლი მიუძღვის თბილისში, უკვე საქართველოს ტერიტორიაზე, სტამბის მოწყობის საქმეში. ეს სჩანს თუნდაც იმ გარემოებიდან, რომ ქართლის გამგემ ვახტანგმა, რომელიც ამ დროს სპარსეთში მყოფ თავის ბიძის გიორგი მეფის მაგივრად განაგებდა ქართლს, სტამბის მოწყობილობა და თვით სტამბაც სწორედ ვლახეთიდან გამოიწერა და იმგვარად გამართა სტამბა



| | | |
|---|---|---|
| 4 | ბ A | |
| [illegible] | aual, | Afcendere. |
| [illegible] | auandunòb, | Mormorare |
| [illegible] | auàni, | Mortaro. |
| [illegible] | auania, | Calunnia. |
| [illegible] | auazaubai, | Mormoratione. |
| [illegible] | auafachi, | Affafsino. |
| [illegible] | auèna, | Mordace. |
| [illegible] | aui, | Male, Malattia, |
| | (Maligno, | Difutile,cattiuo. |
| [illegible] | auigheb, | Pigliare, Togliere |
| [illegible] | auizelizadi, | Mal'anno. |
| [illegible] | auifari, | Pefte. |
| [illegible] | auifitkul, | Dir male. |
| [illegible] | auichàzi, | Inhumano. |
| [illegible] | ah, | Hortù. (folda |
| [illegible] | athafiftàni, | Caporale di mille |
| [illegible] | athaftàni, | Caporale di x. fold |
| [illegible] | adbkmà, | Voto, Promella. |
| [illegible] | aighe[illegible] | Alzare (Dio,d |
| [illegible] | aidòni, | Lufignuolo, Rof |
| [illegible] | ainakmili, | Malfatto. (gnau |
| [illegible] | akanir, | Ettomi. |
| [illegible] | akla, | Hora, Adeffo. |
| [illegible] | aklamouidès, | Adeffere venuto. |
| [illegible] | akleni, | Camello. (fino |
| [illegible] | aklia, | Triftezza, Confuf |

გვერდი ქართულ-იტალიურ ლექსიკონიდან 1629 წ.

თბილისში. ეს სტამბა მშვენივრად მოწყობილი იყო. შრიფტი იყო ძლიერ ლამაზი, მესტამბე მიხეილ სტეფანეს ძეც კარგი ხელოსანი გამოდგა. შესაძლებელია, რომ შრიფტის ხიმუშებიც სტეფანეს ვლახეთიდან ჰქონდა ჩამოტანილი ანთიმოზის სტამბიდან (ცნობილია, რომ ანთიმოზი იმავე დროს კარგი მხატვარიც იყო). პირველი წიგნი, თბილისში დაბეჭდილი, გამოვიდა 1709 წ. ეს იყო სახარება ხუცური ასოებით. 1712 წ.




გაზ. „დროება" 1866 წ. (ვენის შრიფტი)

ამ სტამბაში დაიბეჭდა მხედრული ასოებით ვეფხის ტყაოსანიც ვახტანგ ბატონიშვილის კომენტარიებით. ამის შემდეგ თბილისში წიგნის ბეჭდვა, ზოგიერთი ხარვეზებით, გრძელდებოდა მე-XVIII საუკუნის მთელს სიგრძეზე. სულ კი რუსეთის მართველობის დამყარებამდის, ე. ი. 1801 წლამდის, თბილისში დაიბეჭდა 47 წიგნი, მათ შორის 39 წიგნი ხუცურად და 8 წიგნი მხედრულად. ზოგ გამოცემის ტირაჟი იყო უკვე იმ დროისთვის საკმაოდ თვალსაჩინო. ერეკლე II-ის დროს ზოგიერთი უმთავრესად საეკლესიო ხასიათის წიგნი იბეჭდებოდა 800 და 1000 ცალადაც. ამ დროს სტამბას უკვე მოგებაც ჰქონდა, ასე რომ მთავრობამ შესაძლებლად დაინახა სტამბა იჯარით გაეცა. მოიჯარადრე იყო მღვდელი ქრისტეფორე კ ი ქ ე რ ა შ ვ ი ლ ი, რომელიც წიგნებს თავისი ხარჯით ბეჭდავდა, შემდეგ მათ ეკლესიებზე ასაღებდა და მოგებასაც პოულობდა.

XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში ქართული წიგნების ბეჭდვა დროებით შეწყდა და სამაგიეროდ გაცხოველდა იმერეთში, სადაც 1803 წ. ქუთაისში გაიხსნა სტამბა. სტამბას უძღვებოდენ ფინანსიურად იმერეთის მეფე და სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი. წიგნის ბეჭდვა დაყენებული იყო კომერციულ ნიადაგზე, იბეჭდებოდა ამიტომ საეკლესიო წიგნები ეკლესიებზე გასასაღებლად. ეს სტამბა შემდეგ გადატანილ იქნა წესს (რაჭაში) და საჩხერეში. სულ ამ სტამბაში 1803—1807 წლებში დაიბეჭდა 9 წიგნი.

XIX საუკუნის დასაწყისშივე თბილისში მოქმედობდა მეფეების დროიდან დარჩენილი სტამბა წვრილ წვრილი სამუშაოებისათვის (იბეჭდებოდა რუსის მთავრობის ზოგიერთი განკარგულება, მაგ. მანიფესტი და სხ.). 1818 წ. ამ სტამბაში დაიწყო გამოსვლა პირველმა ქართულმა გაზეთმა. პარალელურად ფეხს იკიდებდა კერძო სტამბებიც და მათში რუსული შრიფტიც თანდათან უკვე იწყებდა მომრავლებას.

1828 წ. სოლ. დოდაშვილმა თბილისში გახსნა სტამბა, რომელშიაც დაიწყო ჟურნალის „თბილისის უწყების" ბეჭდვა. სოლ. დოდაშვილი იყო რუსეთის მოწინაალმდეგე ფარული ორგანიზაციის ერთი მეთაურთაგანი, ამ ორგანიზაციის აღმოჩენის შემდეგ გადასახლებულ იქნა ციმბირში და სტამბაც მიიკეტა. ამ დროიდან თბილისში ჩნდება მთავრობის (მთავარმართებლის კანცელიარიის) და სხვადასხვა კერძო პირთა სტამბებიც. ქართული შრიფტის განყოფილება მე-1840 წლებში აკად. მ. ბროსეს თაოსნობით მოეწყო პეტერბურგში რუსეთის სამეცნიერო აკადემიის სტამბაში, რომლისთვის სპეციალურად ჩამოსხმული იყო ეგრედწოდებული აკადემიური შრიფტი. ეს შრიფტი შემოღებული იყო თბილისის სტამბებშიც, სადაც იხმარებოდა უკანასკნელ წლებამდის.




ჟურნალი „ცისკარი" 1854 წ.

მე-1860 წლებიდან თბილისის სტამბებში შემოღებულ იქმნა ეგრედ წოდებული ვენის შრიფტი, თავის დროზე ვენაში დამზადებული, რის გამო მას დაერქვა ეს სახელი. ეს შრიფტი ყველაზე უფრო გავრცელებული იყო უკანასკნელ დრომდის.

ქართული ბეჭდვის საქმე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით ყოველდღიური პრესის დაარსების დღიდან (1866 წლიდან, როდესაც დაარსდა გ. „დროება") უკვე საბოლოოდ უხრუნველყოფილიყო, თუმცა უნდა ითქვას, რომ ტეხნიკის მხრივ ქართული შრიფტი თითქოს ორთ დონეზე გაყინული დარჩა და ასე იყო ვიდრე უკანასკნელ წლებამდის. მხოლოდ ბოლო წლებში, უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს, ქართული შრიფტი იწყებს თვალსაჩინო გაუმჯობესებას. შემოღებულ იქნა ახალი გაუმჯობესებული კორპუსი, (რომლითაც ეხლა იბეჭდება გაზეთების და წიგნების ტექსტის უმეტესი ნაწილი). ქართული შრიფტისთვის არსებობს უკვე ლინოტიპები ზოგიერთ უფრო ლამაზი შრიფტით და სხ. მუშაობა ამ მხრივ კიდევ სწარმოებს და იმედია თანდათან ქართული შრიფტი მიაღწევს იმ მრავალსახ ანობას და მრავალფეროვანებას, რომელიც ასე თვალსაჩინოდ ჰყოფს ყველასთვის ევროპიული და რუსული შრიფტის პრაქტიკულ და ესტეტიურ ღირსებებს.



თბილისში დაბეჭდილი წიგნი 1800 წ.

ქართული შრიფტის მომავალი მტკიცედ უზრუნველყოფილია ქართული ბეჭდვითი საქმის აწინდელი მდგომარეობით. 1858 წ. იანვარში მაშინდელ ქართულ ერთად ერთ ჟურნალ „ცისკარის" რედაქტორი ივ. კერესელიძე სიხარულით ცას ეწეოდა, როდესაც ამ ჟურნალის ხელის მომწერთა რიცხვი 120-დან 200-მდე ავიდა. ხოლო 1915 წ. მარტო ყოველდღიური ქართული პრესის (ყველა გაზეთების ერთად) ტირაჟი მაშინდელ მძიმე პოლიტიკურ პირობების მიუხედავად. უკვე $17\frac{1}{2}$ ათასს აღწევდა, ამავე 915 წ. ქართულად დაბეჭდილი იყო 191 სახელწოდების გამოცემა 444 ათას ცალად. ხოლო 1927 წ. მარტო ქართულად საქართველოში დაიბეჭდა უკვე 846 სახელწოდების გამოცემა (წიგნები), რომელთა ტირაჟი $2\frac{1}{2}$ მილიონს აღემატებოდა. თანამედროვე ქართული პრესის მდგომარეობის გასათვალისწინებლად საკმარისია მოხსენებულ იქნას, რომ მარტო გაზ. „კომუნისტი" იბეჭდება ამჟამად 40 ათას ცალად და გაზ. "მუშაც" 15 ათას ცალით. ქართული ბეჭდვითი საქმის 300 წლის იუბილეუმს ქართული წიგნობრობა ხვდება თავისი ბრწყინვალე მომავლის სრული იმედით.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**
ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!
**ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**
ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!
**ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**
ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!
**ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!**

თანამედროვე შრიფტი

---

# თელავის ნადების მასიური ექსკურსია

შინამრეწველ ხელოსანთა ამხანაგობა აერთიანებს 7 ნადს, მეჩექმეთა, ხარაზების, ქალთა პრა-კერვის, დაბაღის, პურის მცხობელთა, მ ნახირეთა და სხვ. სულ 500 მეტ ხელოსან. ამხანაგობა განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს ნადების წევრთა შორის კულტურულ მუშაობას, მოაწყვეს ფართო კლუბი სცენით, რომელიც 1000 მან. დაჯდა, ჰყავთ ცალკე მიწვეული კულტმომუშავე, სცენის მოყვარეთა წრე, მომღერალთა გუნდი და სხვ.

ამ დღეებში კულტმომუშავე ამხ. ვ. შიოშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო მასიური ექსკურსია სოფ. წინანდალში—სახალხო მამულში. ექსკურსიას თან ახლდა სცენის მოყვარეთა წრე, მომღერალთა გუნდი და სიმებიანი ორკესტრი. წინანდალში—პირველ დღეს, სახ. მამულის მუშების და გლეხთა თანდასწრებით ჩატარებულ იქნა ანტირელიგიური კამპანია, შემდეგ წარმოდგენილ იქნა სააგიტ. პიესები, „დაპირებული ქბილი" და სატ. „მოცრუებული იმედი". შეხამებულად გამართულმა საღამომ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

მეორე დღეს ექსკურსიამ დაათვალიერა სახ. მამულის ვენახები, სარდაფი, კონიაკის სახელი ქარხანა და საღამოთი კმაყოფილნი დაბრუნდნენ თელავში.

ვან—ლი.



თელავის შინა-მრეწველი ხელოსნები

# „მისი უდიდებულესობის“ სოციალისტები
## (II ინტერნაციონალის 40 წ. თავი)

### ე. წულაძე

40 წლის წინათ, 1889 წ. 14 ივლისს, პარიზის ხალხის მიერ დესპოტიზმის ძეგლის ბასტილიის ციხის აღების 100 წ. თავზე, აღდგენილ იქნა მუშათა საერთაშორისო კავშირი, რომელიც გაწყდა 1873 წელს: დაარსდა II ინტერნაციონალი.

25 წლის განმავლობაში მეორე ინტერნაციონალს მ ღლა ეჭირა მუშათა ინტერნაციონალური სოლიდარობის დროშა. ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე ყველაზე უფრო საჭიროროტო საკითხი ინტერნაციონალი ათვის იყო საგარეო პოლიტიკის საკითხები, უმთავრესად კი ომის საკითხი. ცალკე ქვეყნების კაპიტალიზმისათვის ვიწრო შეიქნა ნაციონალური ფარგლები. მოეწყველობა ეძებდა ახალ ბაზრებს. ინგლისი უკვე წარსული საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში წარმოადგენდა კოლონიალურ სახელმწიფოს. გერმანია კი ამ დროს ცალკე სამთავროებათ იყო დაყოფილი. საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ ბისმარკმა ძლივდან მოახდინა გერმანიის გაერთიანება. ამ მომენტიდან გერმანია სწრაფად წავიდა კაპიტალისტური განვითარების გზით და ჩქარა ინგლისის მძლავრი მეტოქე შეიქმა. ეკონომიკური მეტოქეობას თან სდევს მეტოქეობა სამხედრო დარგში. ორივე სახელმწიფო ჩაება გაათორებულ სამხედრო შეჯიბრებაში. მათ არც სხვა სახელმწიფოები ჩამორჩებოდნენ. ყველას ჰქონდა თავისი ანგარიშები, რომელთა განაღდებას თითეული მათგანი მომავალი ომის დროს აპირებდა.

მთელი ევროპა შეიარაღების ციებცხელებ ში ეყოფიდა. 1907-8 წ. სამხედრო ხარჯები ინგლისში შეადგენდა მთელი სახელმწიფო ხარჯების 48,6%, საფრანგეთში— 37%, გერმანიაში—28,3%, რუსეთში—35,6%, შეერთებულ შტატებში— 56,9%.

1914 წელში ევროპის მთავარი იმპერიალისტური სახელმწიფოების სამხედრო ხარჯები უდრიდა: ინგლისის—804 მილ. მანეთს, საფრანგეთის—740 მილ. მან., გერმანიის—943 მილ. მან., რუსეთის—975 მილიონ მანეთს.

როცა ამდენი ასაფეთქებელი მასალა მზადდება, ხარაზნები „თავისით“ იწყებენ ლაპარაკს: სულ უმნიშვნელო საბაბი იყო საჭირო, რომ ნაღმი ომის ალში გახვეულიყო.

რას შვებოდა ინტერნაციონალი?

მისდა სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნაციონალი ფხიზლად იდგა ყველა ქვეყნის პროლეტარების ინტერესთა ერთობის სადარაჯოზე, ააშკარავებდა კაპიტალისტური მთავრობების მახინაციებს, რაზმავდა მასებს იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ, მოუწოდებდა მათ მედგრად შებრძოლებოდნენ ომის საფრთხეს.

ომის საკითხი არ მოხსნილა ინტერნაციონალის კონგრესების დღის წესრიგიდან.

„...კონგრესი გადაჭრით უარყოფს მთავრობათა ყოველგვარ საომარ განზრახვებს, რომელთაც ისინი ატარებენ გალატაკების უკიდურეს საზღვრამდე... კონგრესი მუდმივ არმიების გაუქმებასთან ერთად მოითხოვს ხალხის საყოველთაო შეიარაღებას“.

(II ინტერნაციონალის პირველი კონგრესი, 1889 წ., პარიზი.)




კაიზერ ვილჰელმ და მისი მთავარსარდლები; მათ შორის არიან გერმანეთის სოციალ-დემოკრატების ლიდერები დავიდ, შაიდემან, ებერტ, ველს, ნოსკე და მიულერ, რომლებიც ხელს უწყობდნენ იმპერიალისტურ ომს. სურათი გადაღებულია ომის გამოცხ. დროს.

„... კონგრესი მხედველობაში იღებს რა ევროპის ეხლანდელ მდგომარეობას, რომელიც უფრო და უფრო სახიფათო ხდება და სხვადასხვა ქვეყნების მმართველ კლასების შოვინისტურ წასისებას, მიმართავს ყველა მშრომელთ მოწოდებით განუწყვეტელი აგიტაციის საშუალებით პროტესტი განაცხადონ სამხედრო მზადების წინააღმდეგ“...

(მეორე კონგრესი, ბრიუსელი, 1891 წ.)

„...ინტერნაციონალური რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია ყველა ქვეყნებში ყველა ძალებით უნდა აღსდგეს მმართველი კლასების შოვინისტური მისწრაფებების წინააღმდეგ, მან უფრო და უფრო უნდა განამტკიცოს სოლიდარობის მჭიდრო კავშირი ყველა ქვეყნების მუშათა შორის; მან დაუღალავად უნდა იმუშაოს კაპიტალიზმის დასანგრევათ... მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა კრებებზე, რომლებზედაც ირჩევა კანონპროექტები, უნდა უარჰყონ სამხედრო კრედიტები, მათ განუწყვეტლივ პროტესტი უნდა განაცხადონ მუდმივი არმიების შენახვის წინააღმდეგ და მოითხოვონ განიარაღება“...

(III კონგრესი, ციურიხი, 1893 წ.)

„...ამიტომ ყველა ქვეყნების მშრომელი კლასი სახელდობრ ჩ გვრის წინააღმდეგ უნდა აღსდგეს იმავ მისწრაფებათა გამო, რომლებითაც იბრძვის ექსპლოატაციის ფორმების წინააღმდეგ... ამ მიზნით მან უნდა დაიპყროს პოლიტიკური ძალა-უფლება, რომ მოსპოს კაპიტალისტური წყობილება“...

(IV კონგრესი, ლონდონი, 1896 წ.)

„...კონგრესი წინადადებას იძლევა მოქმედების საშუალებების სახით გამოყენებულ იქნეს შემდეგი: 1) მუდამ სოციალისტურმა პარტიებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ახალგაზრდობის აღზრდას და დაუახლოვდნენ მილიტარიზმთან ბრძოლის მიზნით; 2) დეპუტატებმა სოციალისტებმა ყველა ქვეყნებში ხმა უნდა მისცენ სამხედრო ხარჯებისა და ფლოტის საჭიროებისა და კოლონიებში ექსპედიციების გასაგზავნათ თანხების გადადების წინააღმდეგ“...

(V კონგრესი, პარიზი, 1900 წ.)

„კონგრესი ადასტურებს წინა ინტერნაციონალური კონგრესების რეზოლიუციებს იმპერიალიზმთან და მილიტარიზმთან ბრძოლის შესახებ და მოაგონებს, რომ ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ არ შეიძლება განცალკევებული იქნას კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლიდან.

„...თუ ომმა მაინც იფეთქა, მიუხედავად ყველა ამ ზომებისა, ისინი (მუშათა წარმომადგენლები პარლამენტებში, ე. წ.) ვალდებული არიან მიიღონ ყველა ზომები, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოუღონ მას ბოლო და ყოველნაირად გამოიყენონ ომით გამოწვეული ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი იმისათვის, რომ აამოძრაონ რაც შეიძლება ღრმა საზოგადოებრივი ფენები და დააჩქარონ კაპიტალიზმის დამხობა“.

(VII კონგრესი, შტუტგარტი 1907 წ.)

„კონგრესი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში, მიუხედავად სამშვიდობო კონგრესებისა და მთავრობათა პაციფისტური დეკლარაციებისა, შეიარაღებანი მეტად საგრძნობლად გაიზარდა...

„...სამხედრო გართულებათა შემთხვევისათვის კონგრესი ადასტურებს შტუტგარტის კონგრესის ანტიმილიტარისტულ რეზოლიუციას...

### (VIII კონგრესი, კოპენჰაგენი, 1910 წ.).

„...კონგრესი მოგმართავთ თქვენ, ყველა ქვეყნების პროლეტარებო და სოციალისტებო, მოწოდებით—გადამწყვეტ მომენტში არ დარჩეთ უხმოდ. გამოსთქვით თქვენი ნებისყოფა ყველგან და ყველა საშუალებით. გამოსთქვით ყველა საშუალებით თქვენი ერთსულოვანი პროტესტი პარლამენტებში, გაერთიანდით მანიფესტაციებში და მასიურ გამოსვლებში, გამოიყენეთ ყველა საშუალებები, რომელთაც თქვენ გაძლევთ ორგანიზაცია და პროლეტარიატის ძლიერება ისე, რომ მთავრობები განუწყვეტლივ ხედავდნენ



რომელია მეფე და რომელია სოციალდემოკრატი?

[illegible]

თვალწინ ფხიზელ და მომქმედ მუშათა კლასის ნებისყოფას, რომელიც გადაჭრით მოითხოვს მშვიდობიანობის დაცვას, ამრიგად კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და მასების განადგურების სამყაროს დაუპირისპირეთ პროლეტარული თანხმობისა და ხალხთა ერთობის სამყარო".

### (საგანგებო ინტერნაც. სოც. კონგრესი ბაზელში, 1912 წ.).

ასეთი იყო II ინტერნაციონალის კონგრესების დადგენილებები და მოწოდებები 1914 წლის აგვისტომდე, სანამ ცხოვრებამ არ მოსთხოვა მის ბელადებს სიტყვის გადაქცევა საქმედ და აქ გამოირკვა, რომ ინტერნაციონალს არ შესწევს ძალა ამ სერიოზული გამოცდის დასაჭერად. კაპიტალიზმის „მშვიდობიანი" განვითარების პერიოდში შექმნილი მუშათა არისტოკრატიის, პროფ. და პარტიული ბიუროკრატიის, სოციალისტ-დეპუტატთა მრავალრიცხოვანი მასის კავშირი თავისი ქვეყნის ბურჟუაზიასთან მუშათა საერთაშორისო სოლიდარობაზე ძლიერი აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ ოპორტუნიზმი, რომლის გამოხატულებას წარმოადგენდა ბერნშტეინის რევიზიონიზმი, მხოლოდ გარეგნულად დამარცხდა, სინამდვილეში კი მეორე ინტერნაც. ბელადების დიდი უმრავლესობა ფარული რევიზიონისტ-ოპორტუნისტები იყო და 1914 წ. მაგვარი კატასტროფა გახდა საჭირო, რომ ამ ნიღაბ აფარებულ ბერნშტეინიანელთა მასის ნამდვილი სახე გამომჟღავნებულიყო. ყველაზე საუბედურო ის იყო რომ ოპორტუნიზმით დაავადებული აღმოჩნდენ ისინიც, ვინც ომის წინა წლებში გაფთრებით ებრძოდა ოპორტუნიზმს ბერნშტეინიანიზმის სახით. (კაუტსკი და სხვ.).

გადამწყვეტ მომენტში მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის ლოზუნგი შესცვალეს „სამშობლოს დაცვის" ლოზუნგით და მხარში ამოუდგნენ ქვეყნის ბურჟუაზიულ მთავრობებს.

ომის დროს მათ დაამტკიცეს, რომ არაფრით არ განირჩევიან პირწავარდნილი იმპერიალისტებისაგან. მათ დაიწყეს იქიდან, რომ თითქოს მხარს უჭერდნენ მხოლოდ თავდაცვას. გაათავეს კი იმით, რომ განაცხადეს: „მხოლოდ პოლიტიკურ ძალებს შეუძლიათ იფიქრონ, თითქო სანაპირო ბოძები თავის ადგილზე დარჩებაო". სოციალ-შოვინისტურად გადაქცეული გერმანელი მენშევიკი ფ. შეიდემანი 1916 წ. აპრილში ამგვარად ოცნებობდა გერმანიის საზღვრების გაფართოებაზე. მაგრამ, როცა შეერთებული შტატების ჩარევამ ომში გამარჯვება მოკავშირეებს არგუნა, ამ ქვეყნის სოციალისტებმა, ფ. შეიდემანის ამხანაგებმა მეორე ინტერნაციონალიდან, მნიშვნელოვანი დაიმარება გაუწიეს თავისი ქვეყნების იმპერიალისტებს იმაში, რომ „სანაპირო ბოძები თავის ადგილზე არ დარჩენილიყვნენ" —საკმაოდ გადაენაცვლებიათ იმ ქვეყნის ტერიტორიების შიგნით, რომელთაც შეიდემანი და მისი მეგობრები „იცავდნენ" ვილჰელმთან და ფრანც-იოსებთან ერთად.

მაგრამ ისიც არის აღსანიშნავი, რომ შეიდემანსა და კომპ. სანაპირო ბოძების თუგინდ თავის ადგილზე დასატოვებლად ბრძოლისათვის

სად ეცალათ, როცა გერმანელი სპარტაკელები ემუქრებოდნენ მათი მოკავშირეების — ბურჟუაზიის ქონებას და განცხრომით ცხოვრებას.

„შინაური „მტერი გაცილებით საშიში აღმოჩნდა გერმანიის სოციალდემოკრატიულ ბელადებისათვის, ვიდრე მოკავშირეთა გენერლები, რომლებიც გასრესას უპირებდნენ მთელს გერმანიას.

„სისხლიანმა ძაღლმა" ნოსკემ (ასე სიამაყით უწოდებს თავი ი თავს თვითონ) ცეცხლითა და მახვილით გაიარა გერმანიის კიდით კიდემდე და თეთრგვარდიელთა ბანდების დ ხმარებით სისხლში ჩაალრჩო პროლეტარიატის გამოსვლები.

შემდეგ კი, როცა მოკავშირეთა ქვეყნების სოციალისტებმა დაასრულეს თავისი მუშაობა—შეადგინეს იმპერიალისტებს გერმანიის გაძარცვის გეგმა, შეიდემან-ნოსკემ კი „დაასრულა გერმანიის პროლეტარიატის დამშვიდება,—მათ გადასწყვიტეს, რომ აწ შეუძლიათ დაისვენონ და კვლავ შემოუსხდნენ საერთო მაგიდას: განაახლეს გაწყვეტილი კავშირი ურთიერთ ცოდვების დავიწყების საფუძველზე.

განახლებულ II ინტერნაციონალს, რასაკვირველია, არაფერი საერთო არ აქვს ძველი, 1914 წლამდე არსებულ მეორე ინტერნაციონალთან. უკანასკნელი მუშათა მასებს მოუწოდებდა იმპერიალიზმთან და კაპიტალიზმთან ბრძოლისაკენ; განახლებული მეორე ინტერნაციონალი კი წარმოადგენს ლაბორატორიას, სადაც საერთაშორისო ოპორტუნიზმის მოგვები ამზადებენ

კაპიტალიზმის გახანგრძლივების რეცეპტებს. მათ უკვე მოიხსნეს მორცხვობის ნიღაბი და აშკარად თანამშრომლობენ თავისი ქვეყნის ბურჟუაზიასთან. უფრო მეტი, ისინი მაგალითებით უმტკიცებენ კაპიტალისტებს, რომ მათი საიმედო მოკავშირეები არიან და მათზე ცუდათ კი არა, არამედ უკეთესად შეუძლიათ ბურჟუაზიის წმინდათა წმინდის — კერძო საკუთრების დაცვა (გაიხსენეთ ვენის ამბები შარშან წინ, საპირველმაისო ამბები წრეულს ბერლინში და მრავალი სხვა).

ფ. შეიდემანი ყველა „მინდანებს" ფიცულობდა, რომ გერმანიის რევოლიუცია მას არ უნდოდა და ყოველი ღონე იხმარა, რომ ვილჰელმის ტახტი გადაერჩინა. ბურჟუაზიული მემუარისტები სავსებით ადასტურებენ ამას. ახლა კი, შეიდემანი და მისი ამხანაგები ნიადაგს ამზადებენ ვილჰელმის ზეიმით დასაბრუნებლად გერმანიაში.

ყველას ახსოვს ალბათ (დეპეშებიდან), რომ როცა წარსულ წელს ინგლისის მეფე ავად გახდა, „მუშათა" პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი" პირველ გვერდზე არშიიანი ასოებით ათავსებდა ბიულეტენს მეფის ჯანმრთელობის შესახებ. ეს შემთხვევითი მოვლენა როდია. „მუშათა" პარტია შეურაცყოფად თვლის, რომ ვინმე შეეჭვდეს მის ერთგულებაში მეფის ტახტისადმი. უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების დროს ავსტრალიაში ავსტრალიის პრემიერმა ბრიუსმა საარჩევნო სიტყვის დროს ამგვარი ცილი დასწამა ავსტრალიის მუშათა პარტიას. უნდა წარმოიდგინოთ, როგორ აღშფოთდნენ „მუშათა" პარტიის ლიდერები, ერთმა მათგანმა—ტეოდორმა „ღრმა აღშფოთებით" გამოაქვეყნა თავისი პასუხი ბრიუსის განცხადებაზე. „არავისო,—სწერდა ტეოდორი,—უფლება არ აქვს გვისაყვედუროს ჩვენ არალოიალობა. ჩვენ ვართ ერთგულნი ავსტრალიის, ინგლისის და მეფის ტახტის.



როგორ ემსახურება მუშათა ინტერესებს რამზეი მაკდონალდი. (მარცხნით) მის გვერდით ინგლისის პრინცი უელ ვალეს.

ჩვენ არა ერთხელ გვქონდა შემთხვევა ეს დაგვემტკიცებია. „შეურაცხყოფა" რომ მართლა „საშინელია".

ბელგიელი სოციალისტები დიდი ხანია მოშინაურდნენ. ვანდერველდე ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში, რომელიც განვლო მსოფლიო ომის დაწყების მომენტიდან, თითქმის არ მოსცილებია „მისი უდიდებულესობის მინისტრის სავარძელს და ათიოდე დღის წინათ შესაფერი ჯილდო მიიღო ერთგული სამსახურისათვის: მეფემ მას უბოძა „ლეოპოლდის ორდენი" (ასეთივე ჯილდო მიიღო 12 „სოციალისტმა" სენატორმა). ამიერიდან მას ვერც ერთი დემაგოგი ვერ დასწამებს იმას, რომ ის მეფის და ტახტის ერთგული არ არის: მოწმობა მკერდზე ჰკიდია.

ამრიგად, არსებითად რომ ვსთქვათ, სოციალ-ოპორტუნისტებმა II ინტერნაციონალის 40 წ. თავი კი არ უნდა იდღესასწაულონ, არამედ 15 წლის თავი, ის თარიღი, როცა მათ გადაჭრით გასწყვიტეს კავშირი რევოლიუციონურ წარსულთან და გადაიქცნენ „კარიერისტების შაიკათ" (ასე უწოდა ფრ. ენგელსმა ფაბიანელებს, ინგლისელ ბურჟუაზიულ სოციალისტებს). ესეც ხომ ღირს იუბილეს გასამართავად.

# პროლეტარული მწერლობის ახალი კადრები

## (ფრ. ნაროუშვილის შემოქმედების შესახებ)

პროლეტ. მწერლობა დღითი დღე იზრდება. იზრდება მისი ახალი კადრებიც. ყოველი ლიტერატურული მიმართულება იმდენად უფრო ძლიერია, რამდენადაც მას ახალი შემცვლელი თაობა ჰყავს. საქართველოს პროლეტარულ მწერლობას წილა. მაგრამ საიმედოთ ეზრდება ასეთი ახალი კადრები. ამ წერილში ჩვენ გვინდა დავახასიათოთ ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი ამ კომკავშირული ლიტერატურული ახალგაზრდობისა, კერძოთ ფრიდონ ნაროუშვილის შემოქმედება. სანიმუშოდ ჩვენ ავიღებთ ამ ავტორის მიერ 1929 წელს გამოქვეყნებულ პოემებსა და ლექსებს.

* * *

ფ რ ი დ ო ნ ნ ა რ ო უ შ ვ ი ლ მ ა ჯერ ახალი თემით მიიქცია ყურადღება. ის, რაც „პროლემაფის" მიერ ლოზუნგებათ იყო წამოყენებული, პერიოდის მწერლებმა მხოლოდ დაასაბელეს, ან ლირიკაში ნაწილობრივ განახორციელეს — ის ფ. ნაროუშვილმა თანდათან ხორცშესხმულ ნაწარმოებებად მოგვცა. კონკრეტული სურათები საბჭოთა სოფლის ყოფა-ცხოვრების, ყოფითი დაკვირვებები, ბოლშევიკურ-პირქვეშელების თემა, ნაგანის, როგორც სამოქალაქო ომის სიმბოლოს ისევე მტრის წინააღმდეგ გამზადების იდეა და სხვა ასეთები იპყრობდენ ჩვენს ყურადღებას ფ. ნაროუშვილის გულწრფელ და ემოციონალურად მდიდარ, მაგრამ ფორმალურად ჯერ კიდევ სუსტ ნაწყვეტებში.

მაგრამ 1928 წელში ფ. ნაროუშვილი უკვე, როგორც თემატიკით, ისე იდეების სიახლით და ფორმალურადაც პროლეტარულ მწერლებში პირველ ადგილს იკავებს (მხოლოდ ფორმით ჩამორჩება ჯერ-ჯერობით კ. კალაძეს).

ლექსი „რევკომის თავმჯდომარეთ იყო შოფერი" არამც თუ მარტო პროლეტარულ, არამედ 1928 წლის მთელ ქართულ მწერლობაში — საუკეთესოა. ლექსის რითმიანობის ტრადიციის გაბედული დარღვევა, უბრალო, მაგრამ მხატვრულ ზომიერების გრძნობით მოცული სასაუბრო ენა, თხრობითი მანერა, ძალდაუტანებლობა ამ თხრობაში, რიტმის მახვილი გრძნობა და რაც მთავარია — სიუჟეტური ლექსის საკმაოდ გამართული ცდები — აი რით არის საყურადღებო ფორმის მხრივ ფრ. ნაროუშვილი. „შოფერი" მკითხველისადმი ასეთი სასაუბრო მიმართვით იწყება:

„დამსწრეთა შორის რომელი იქნებით,
იმ რაიონიდან სადაც შოფერმა
თვით უხელმძღვანელა გასაბჭოებას".

და ასევე გრძელდება. მეორე ლექსი სერიიდან „ყოფა-ცხოვრება საბჭოთა სოფელში" ტიპიური თხრობითი დასაწყისით ხასიათდება:

„მაღლობებს მოსდევს საყანე ველი,
ველს თემ შარა და შარას მდინარე,
მდინარის პირას მუხა სდგას ძველი —
ზღაპრებ-თა და წყლულით მდიდარი; და სხვ.

კიდევ უკეთესია ამ მხრივ ლექსის „მიამბო ბლეხკორმა" დასაწყისი (სერიიდან „პოემა სხვადასხვა საკითხებზე"):

„გასულ წლის ბოლოს მზიან ზეცის ქვეშ
სათემო კრება გაიმართულიყო,
და თავმჯდომარე ამავ სოფლისა
საანგარიშოთ გამოსულიყო.

ვ. მაიაკოვსკის უბრალო მიმბაძველი იქნებოდა ფრ. ნაროუშვილი, რომ მას, როგორც ეპიურ, ისე სასაუბრო ჟანრში, რაიმე ახალი არ შეეტანა. ახალი ვ. მაიაკოვსკის მიმართვითი სასაუბრო ენა მკითხველისადმი მ ა ღ ლ ი დ ა ნ ქ ვ ე მ ო თ არის მიმართული. ფ. ნაროუშვილის საუბარს კი უფრო პროლეტარული მკითხველისა და მწერლის ამხანაგური თანასწორობის პრინციპი უდევს საფუძვლად, რაც მე-ს ნაკლებად გამოყოფის, მწერლის მასებზე მაღლა დგომისა და საერთოდ ესთეტიზმის, კერძოთ „მემარცხენე" ესთეტიზმის უარყოფიდან გამომდინარეობს. ვ. მაიაკოვსკის „უბრალოებაც" და სასაუბრო ენაც კი, რაღაც ქურუმისებურია (жреческий говор), ამიტომ გამოპრანჭული (вычурный), რიტორიული და ოფიციალური. ოფიციალობას მაღლა დგომას, ამ ქურუმობას, გაბერილობას და რიტორიკას თანდათან სპობს ფ. ნაროუშვილი. ეს პრინციპიალური უბრალოება არის ის ახალი, რაც ფ. ნაროუშვილს ანსხვავებს „მემარცხენეობიდან" და რაც მკითხველში უდიდეს ამხანაგურ (პროლეტარულ) ნდობას იწვევს. როცა მის ლექსებს კითხულობ აი ისმენ, გრძნობ, ბოლშევიკურად, მკვეთრათ, მკაფიოდ და სიმტრიულად მოწყობილ ამხანაგურ საუბარს. აი ეს ამხანაგური სტილი თითქმის პირველად გვხვდება ფ. ნაროუშვილის ლექსებში. ეს გარემოება კი მის ლექსს სრულებით გამოჰყოფს საერთოდ პოეზიისაგან, რადგან პოეზია, რა რიგ „მემარცხენე" არ უნდა ავიღოთ, მაინც „მაღალ სტილით" ლალადია. პროლეტარულ მკითხველის და მწერლის შორის დისტანციის სრული მოსპობა - აი ის მთავარი თვისება იმ სტილისა, რომელსაც ჩვენ „ამხანაგური სტილი" დავარქვით. ეს სტილი წმინდა პროლეტარული მხატვრული ფორმის ერთ-ერთი ელემენტია, სრულიად (პრინციპიალურად) ახალი და მძლავრი. ამხანაგური სტილი მწერლობაში — იგივე სოციალისტური თანასწორობის და, კოლექტიური ერთიანობის სიმბოლოა. ჯერ კიდევ უიტმანი ამბობდა, რომ სიტყვა „ამხანაგო" ქალაქის პირმშო შვილია და მართლაც, ეს სიტყვა და მასში მოცემული კოლექტივიზმი პირველად სოციალისტურმა რევოლიუციამ გააბატონა. ფ. ნაროუშვილიც თუმცა ჯერ დიდი კულტურის არ არის, სამაგიეროთ ამ ახალი საქმის დაწყებით კარგ მოწინავე საქმეს აკეთებს.

განსაკუთრებით ძლიერია ფ. ნაროუშვილი პრობლემების დასმის მხრივ. საბჭოთა სოფლის ყოფა ცხოვრების კონკრეტული სურათები და ამ ყოფის ბოლშევიკური კრიტიკა პირველად მის ლექსებში გვხდება. გლეხობა ჩვენი ქვეყნის მთავარი მასსაა, მათი გარდაქმნა პროლეტარულად, როგორც ეკონომიურად, ისე იდეოლოგიურად — გრანდიოზული ამოცანაა. ფ. ნაროუშვილი გრძნობს ამას და თემატიურად სოფლურ ლექსებში ბოლშევიკურ ხაზს ატარებს. სამართლიანად ამბობს მწერალი თავის მიმართულებაზე ამ საკითხში:

„მაშასადამე უნდა ვებრძოლოთ
მესაკუთრეულ განწყობილებას
მესაკუთრეთა საქართველოში"

(„პოემა სხვადასხვა საკითხებზე")

და „მე უმღერ გლეხებს, არა გლეხურად,
გლეხურ ბუნების უარმყოფელი: —
ისპობა ძველი კერა და ეზო
ახლად შენდება ძველი სოფელი".

(„ყოფა-ცხოვრება").

აი ასეთი პროლეტარული თვალსაზრისით ებრძვის ფ. ნაროუშვილი მესაკუთრულ-კულაკურ განწყობილებებს ერთ-ერთ მის საუკეთესო ლექსში „ივანეს ცხოვრება" სერიიდან „ყოფა-ცხოვრება საბჭოთა სოფელში". კარგად არის მოხაზული ამ ლექსში „ძაღლზე ველური" კულაკ ივანეს მტაცებლური ინსტიქტები და ამ კულაკის თეორია „შენ-ჩემობის" შესახებ, იმის შესახებ, რომ საკუთარ კერიას არაფერი სჯობია, რომ არ უნდა მოისპოს საკუთარი ყანა, რომ ყოველივე ისევ ისე უნდა დარჩეს და სხვა:

ვის უნდა შენი ქედი მოხაროს,
ვინ ჩაგვილეწა ოჯახის ბჭენი
ვის ძალუძს ჩემი კერა მოთხაროს.
მოდგმიდან-მოდგმას გადასცემია
ქონი და წმინდა ძველთა-ძველობა,
დგმას დგმა უცვლია, მაგრამ უცვლელად
მოდის კერიის მსოფლ-მხედველობა".

არა უშავს ლექსს „მოხუცი ძაღლი" (ამავე სერიიდან) სადაც წინაალმდეგ მთელ ქართულ მწერლობაში გამეფებული ყოფილ ადამიანთა იდეალიზაციისა, ყოფილი თავადი, გაბოროტებულ და მებრძოლ მტრად არის მოცემული, რომელიც აქტიურ საბჭოთა მუშაკ ლატაკს გლეხს სახლს უწვავს. გულმოსულ გლეხს სურს გადაუხადოს ისევე სახლის დაწვით, მაგრამ ავტორი ორგანიზაციულ ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

ფ. ნაროუშვილს ყოფითი დაკვირვების საკმაო უნარი აქვს, ამ მხრივ განსაკუთრებით სასურველია მისი განვითარება. თუმცა ლექსი „მგზავრობა აგარაკში" მიუხედავათ ყოფითი დაკვირვებების სისწორისა, ლიტერატურულად ვერ არის შეკრული, არ აქვს ლოლიკური ცენტრი, არ აქვს თემატიური მახვილის დარტყმა და ამიტომ რაღაც ცალკე შთაბეჭდილებების მექანიკურ შეერთებას წარმოადგენს. საერთოდ ავტორმა, როგორც თხრობით სასაუბრო-ფაბულარულ ჟანრზე მომუშავემ, დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს კომპოზიციის, ფაბულარული ცენტრის, მისი ნაწილების განაწილების, გადასვლების ლოგიურობის (გადასვლების სისუსტე განსაკუთრებით ეტყობა მას), მასალების კონცენტრაცია-განაწილების, ეფექტის განსაზღვრულ ნაწილისათვის (საერთოდ ბოლოსთვის) შემონახვის და სხვა ანალოგიურ საკითხებს. ამ მხრივ კარგია „შოფერი", რომელიც კომპოზიციურად ჩამოკვეთილია, ვერაფერს მოუმატებ და ვერაფერს მოაკლებ.

„შოფერი" კონკრეტულობისა, თემის მეტის მეტად ეკონომიურ მოცემისა და ფორმალურ სიახლის გარდა ერთი საინტერესო პრობლემის დასმითაც არის საინტერესო. ცნობილია, რომ ზოგიერთი პარტმუშაკი საპასუხისმგებლო მუშაობის დიდი ხნის შემდეგ შესაძლებელია ჩამოწყდეს მასებს, რასაც შედეგად მოსდევს ბიუროკრატება და სხვა. ამის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა პასუხისმგებელი მუშაკების პერიოდულად მუშათა მასებში დაბრუნება და ფიზიკურ მუშაობაზე გადაყვანა. ამ ლექსშიაც პროფესიით შოფერი, შემდეგ რევკომის თავმჯდომარე, ისევ ძველ ხელობას უბრუნდება და მუშაობს. ეს ყოფითი, მაგრამ პოლიტიკურად მეტად აქტუალური საკითხი, თავის დონეზე არის დასმული და სწორადაცაა გადაჭრილი.

1928 წელს ფ. ნაროუშვილის მიერ დაბეჭდილი მოზრდილი პოემა სხვადასხვა საკითხებზე — საპროგრამო და საერთო ხასიათის ნაწარმოებია, თუმცა მასში ბევრი კონკრეტული ამბებიც არის მოცემული. აქ დახასიათებულია თანამედროვე მემარჯვენე მწერლობა, დასმულია პროლეტარული მკითხველის პრობლემა და სხვა. პირადათ თავის საუკეთესო მკითხველად ავტორს პირქვეშელი ბოლშევიკები მიაჩნია:

„პირქვეშელებთან, იცი, გავსულვარ,
ისინი სად არ იმყოფებიან.
პირქვეშელები, სისხლის წარსულით
პროლეტ-მწერლების მეგობრებია".

საერთოდ ავტორის ერთ-ერთი მთავარი თემა — პირქვეშელები და მათი ნაგანია. ბოლშევიკური გამძლეობის ჩვენება და პროპაგანდა საუკეთესო საშუალებაა ახალი პროლეტარული კადრების აღზრდისა, მაგრამ სწორედ ამიტომ არ შეიძლება მხოლოდ პირქვეშელ ბოლშევიკებისათვის სწერო. ამიტომ ავტორის ეს ადგილი ცოტა სხვანაირად უნდა გავიგოთ; იგი ლაპარაკობს იმ აქტიურ მკითხველებზე, რომელიც მწერალს მხედველობაში უნდა ჰყავდეს, როცა ის სწერს ამ მხრივ მართლაც პირქვეშელი ბოლშევიკი საუკეთესო დასაყრდენია და ეს ბოლშევიკი მკითხველთან ერთად მწერლის გმირიც არის.

ფრ. ნაროუშვილი ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლებში შედარებით უფრო ჯანსაღი ფიგურაა, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ხაზი მას სწორედ აქვს აღებული, საჭიროა ამ მხრივ შემდეგი განვითარება, მოვლენებში უფრო ღრმად ჩაწვდომა და მხატვრულ ხერხებზე უფრო ენერგიული მუშაობა, რაშიაც, მიუხედავათ ზოგიერთი სიახლისა, იგი საგრძნობლად მოისუსტებს.

პლ. ქიქოძე.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა

## აფხაზეთი



სოხუმის ერთ ერთი აგარაკი



გლეხთა სასახლე სოხუმში



დასასვენებელი სახლი



სართიჭალის მერძევეთა არტელი. არტელის წევრები რძეს სეპარატორში უშვებენ თბილისში გადმოსაგზავნად



ფოთის ნავთსადგურში—ტყვიბულის ქვანახშირის გადმოტვირთვა.



ავჭალის წყალსადენი. მუშა, რომელიც წყაროს წყალს უშვებს თბილისისათვის



თბილისის ზოოპარკი, სადაც პირველად შველმა მოიგო ორი ნუკრი

**რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.** რედაქციის მისამართი — კამოს ქ. № 68.

# ახალი მასალები ა. პუშკინის სიკვდილის შესახებ

ნ. რ—ძე.

რევოლუციამ გაგვიღო ბოქლომები თვითმპყრობელობის მრავალ კლიტულებს, სადაც ინახებოდა რუსეთის მეფის წარსულის დიდძალი დოკუმენტები. უკანასკნელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მასალებს, დაკავშირებულთ პუშკინის დუელთან და მის სიკვდილთან.

მხოლოდ უკანასკნელ წლებში, თითქმის ასი წლის შემდეგ პუშკინის სიკვდილიდან, მიეცა საშუალება ქართველ საზოგადოებას დაწვრილებით გასცნობოდა იმ ტრაგიკულ პირობებს, რომლებმაც გენიალური რუსი პოეტი ნაადრევათ მიიყვანა სამარის კარამდე.

ამ დოკუმენტებთან გაცნობა ცხადყოფს, რომ თუ პუშკინის ფიზიკური მკვლელი იყო ჟორჟ დანტესი, ამ მკვლელობის სულის ჩამდგმელი, კოლექტიური ორგანიზატორი იყო რუსეთის მაშინდელი ბრწყინვალე წოდება და უმაღლესი მოხელეობა, მჭიდროდ დაკავშირებული ნიკოლოზ პალკინის რეჟიმთან, რომელსაც არა ერთხელ მოხვედრია პუშკინის გესლიანი სარკაზმის ისარი.

მაშინდელი ცნობილი ჭორიკანა მოსკოვის ფოსტის დირექტორი ა. ბულგაკოვი თავის წერილში შვილისადმი (ო. ა. დოლგორუკოვასადმი) მშვენივრად გამოხატავს ამას, თუ როგორ გამოეხმაურენ ნიკოლოზ 1-ლთან დაახლოებული წრეები პუშკინის სიკვდილს.

„პუშკინის სიკვდილი მე არ მიმაჩნია უფრო საგულისხმოდ, ვიდრე მისი ცხოვრება. ის იყო თავისუფალი მოაზროვნე და სიკვდილის წინ [illegible] უწყვეტლივ იმეორებდა: [illegible] თუ არა ამას [illegible]?"-ო — სწერს ბულგაკოვი ერთ თავის წერილში.

„ვინ არ იცის მისი დანაშაული მისი (ლაპარაკია ნიკოლოს I-ლზე. ნ. რ—ძე) უზენაესი ხელისუფლების წინაშე! მე მინდა მჯეროდეს, რომ წლები შეასუსტებდნენ მის მღელვარე და ველურ ხასიათს", — ვკითხულობთ მის მეორე წერილში.

ერთი სიტყვით, რუსეთის ბრწყინვალე საზოგადოება, თუ საერთო სიხარულით არა, ყოველ შემთხვევაში დამშვიდებით შეხვდა იმის სიკვდილს, ვინც სიცოცხლეში ხშირათ ამათრახებდა მას.

ეხლა უკვე სავსებით გამორკვეულად ითვლება, რომ პუშკინის ტრაგიკული დუელი საბაბი შეიქნა ერთის მხრივ თვით ნიკოლოზ პირველისა და მეორეს მხრივ ჰოლანდიის პეტერბურგელი ელჩის გეკკერენის ნაშვილების ჟორჟ დანტესის არშიყობა მის ცოლთან. თუ პირველში მხოლოდ „უდიდებულესი" ვნება-აშლილობა ლაპარაკობდა (ნიკოლოზ პირველს „სატრფოთა" მთელი ჰარამხანა ჰყავდა), დანტესში, შეიძლება ვიფიქროთ, ლაპარაკობდა ერთგვარი გულწრფელი გრძნობა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ კაცისათვის, რომელიც პედერასტების წრეში ტრიალებდა, ასეთი გრძნობა უცხო უნდა ყოფილიყო. ასეა თუ ისე, მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ დანტესი ემუდარებოდა პუშკინის ცოლს დაეტოვებინა ქმარი და მას გაჰყოლოდა. მაგრამ პუშკინმა მოხერხებულად თითქმის მოუღო ბოლო ამ არშიყობას: დანტესი, რომ თვალი აეხვია პუშკინისათვის, იძულებული შეიქნა ეთქვა, რომ მისი ტრფობის საგანი არის არა პოეტის ცოლი, არამედ მისი ცოლის და.

— მაშ შეირთეთ, — უპასუხა პუშკინმა.

დანტესი იძულებული შეიქნა ეთხოვა პუშკინის ცოლის დის ხელი. ამ უნებურად მიცემული დაპირების შესრულება არ ულიმოდა არც დანტესს და არც მის მამობილს — ბარონ გეკკერენს. ორივეში იზრდებოდა საშინელი მტრული გრძნობა პუშკინისადმი, რომელმაც ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ისინი. მათ განიზრახეს შური ეძიათ პოეტზე და ამ განზრახვის შესრულებას, — ისტორიკოს პ. შჩეგოლევის აზრით — წარმოადგენს ის ანონიმური პასკვილი, რომელიც 1836 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში გაეგზავნა პუშკინს და აგრეთვე მის მეგობრებს პოეტისათვის გადასაგზავნათ.

ამ პასკვილში ჩირქი ეცხებოდა პუშკინის ცოლის პატიოსნებას. პოეტი გამოყვანილი იყო როგორც „მოღალატე" ცოლის ქმარი. თუ ვისთან „ღალატობდა" ცოლი პუშკინს, პასკვილში გარკვევით არ არის ნათქვამი, მაგრამ პ. შჩეგოლევის დასკვნით, პასკვილი ისე იყო შედგენილი რომ პუშკინს ეჭვი მიეტანა მისი ცოლის ყველაზე საშიშ „მოტრფიალეზე"—ნიკოლოზ პირველზე. მაგრამ პუშკინმა მეორეთ ჩაფუშა გეკკერენების ბნელი განზრახვები. მან დუელში გამოიწვია დანტესი. გეკკერენი შეშინდა. ასეთი შედეგი მისთვის ხელსაყრელი არ იყო. მან დააჩქარა თავისი შვილობილის დაქორწინება პოეტის ცოლის დაზე და ამრიგათ დუელი აღარ შესდგა.

გეკკერენებს—ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტი საბაბი ჰქონდათ პუშკინისადმი სიძულვილისათვის. ჭორებს პოეტის ცოლის შესახებ არ ელეოდა ბოლო. არც დანტესს შეუწყვეტია თავისი არშიყობა, მიუხედავად იმისა, რომ დაუნათესავდა პუშკინს.



ა. პუშკინი კუბოში

ზემოთ ნახსენები ა. ბულგაკოვი თავის წერილში ო. ა. დოლგორუკოვასადმი სწერს:

„უკანასკნელ ბალზე . . . . . ის იყო დაფიქრებული, მოწყენილი და უკმაყოფილო გრძნობით უყურებდა მოტრფიალეთა გუნდს, რომელიც გარს ეხვეოდა მის ცოლს, მისთვის საძულველ დანტესის მეთაურობით. ცოლი, რომელმაც შენიშნა ეს, მიუახლოვდა მას და უთხრა:

„Что ты задумчив мой поэт"?

ქმარმა ამაზე მაშინვე უპასუხა ლექსით:

„Для твоего поэта
Настал уже пост,
Люблю, люблю тебя моя комета
Но не люблю твой хвост"

არშიყობისა და ჭორების ატმოსფერამ მოთმინებიდან გამოიყვანა პუშკინი, მან დაჰკარგა სულიერი წონასწორობა და მეორე ჯერ გაუგზავნა დანტესს დუელში გამოწვევა. აქ ისევ მივსცეთ სიტყვა ხსენებულ ა. ბულგაკოვს:

„აგერ ახლა მოვიდა პეტერბურგის ფოსტა, რომელმაც მომიტანა დიდი და საშინელი ამბავი: პოეტ პუშკინს დუელი ჰქონდა დანტეს—გეკკერენთან 5 ფეხის ნაბიჯზე, დაიჭრა მუცელში და გარდაიცვალა 29-ს ხანგრძლივი წვალების შემდეგ. ეს არის საშინელი და ძლიერ ბნელი ისტორია. მე ვფიქრობ, რომ შენ ხარ მთელი ამ საქმის კურსში: დანტესის ნამდვილი თუ მოჩვენებითი რომანის პუშკინის ცოლთან, პოეტის ეჭვიანობის, ეგრეთ წოდებული შერიგების, რომლის შემდეგ დანტესი დაქორწინდა პუშკინას ერთ-ერთ დაზე იმის დასამტკიცებლად, რომ ის იყო მისი არშიყობის საგანი. მე ვფიქრობ, რომ მისი მიზანი იყო განუწყვეტლივ ეცქირა მისთვის, ვინც მას უყვარდა ისე, რომ არავინ შეეშფოთებია ამით, მათი ახლო ნათესაობის გამო, მაგრამ პუშკინი არ მოსტყუვდა: მან ქორწინების დღიდან სახლიდან დაითხოვა გეკკერენები. მას ტვინი ადუღა, გაბრაზებული იყო ანონიმური წერილით და ბოლოს ის გადაიქცა ნამდვილათ ოტელოთ. მან შეურაცხყოფით აღსავსე წერილი გაუგზავნა გეკკერნს მამას, მასა და მის შვილს ესინიდისო ადამიანებს უწოდებდა და დაუმატა: „მე ვიმედოვნებ დღეს საღამოს ბალზე გრაფინია რაზუმოვსკაიასთან მოგცეთ თქვენ ბრწყინვალე საბუთი ჩემი თქვენდამი სიძულვილის. თუ თქვენ ხვალ დილით ადრე ამ და ამ საათზე და ამ და ამ ადგილზე არ გამოცხადდებით, რომ მომცეთ დაკმაყოფილება, მე თქვენ საჯაროთ შეგაფურთხებთ სახეში".

პუშკინი ბალზე გამოცხადდა მარტო, უცოლოთ, ძლიერ მხიარული; ჯიბეში მას ედო დადებითი პასუხი და გამოწვევის მიღება მეორე დღისთვის. გეკკერნი (დანტესი. ნ. რ—ძე) ბალზე არ გამოცხადდა. პუშკინი ცეკვავდა, ეხუმრებოდა ტურგენევს... პუშკინს ისე ეშინოდა დუელის ამბავი არავის არ გაეგო და ხელი არ შეეშალათ, რომ კომენდანტის აგარაკზე წავიდა სრულიად მარტო, განზრახვით—წაეყვანა მოწმეთ პირველი, ვინც გზაში შეხვდებოდა. მას გზაში შეხვდა დანზასი და თან წაიყვანა.... გეკკერნმა გაისროლა პირველად და ტყვია მუცელში მოახვედრა. პუშკინი დაეცა. გეკკერნი მივარდა, რომ ეშველა, მაგრამ პუშკინმა უთხრა: „ჩვენ აქ ამისათვის არ მოვსულვართ, დაიკავეთ თქვენი ადგილი!" მან უბრძანა აეყვანათ იგი, დაუმიზნა, გაისროლა და ისეთივე ჭრილობას მიაყენებდა გეკკერნს, რომ უკანასკნელს ხელი არ ჰქონოდა წინ გაშვერილი. გეკკერნს ტყვია მუცელში მოხვდა უკვე დასუსტებული რადგან პირველად ხელში გაიარა. როცა ის წაბარბაცდა, პუშკინმა უთხრა დანზასს: „მე ვფიქრობდი, რომ მისი სიკვდილი სიამოვნებას მომგვრიდა მე... მე კი თითქმის ნაწყენი ვარ!" მაგრამ სულ სხვანაირად გამოვიდა! დანტესი იცოცხლებს, პუშკინი კი მკვდარია. შენ შეგიძლია წარმოიდგინო მისი ცოლის სასოწარკვეთილება და მთელი სცენა, რომელიც დაწვრილებით აღწერა ტურგენევმა. ის, ვიაზემსკი, ჟუკოვსკი და ვიელგორსკი თავს დასტრიალებდნენ მომაკვდავს, რომელსაც გონება არ დაუკარგავს მაშინაც კი, როცა მას ხელ-ფეხი უცივდებოდა. მას არ სურდა, რომ ცოლს ეყურებინა მისი წვალებისათვის, ხელებს უჭერდა, ეხვეოდა და იმეორებდა, მრავალჯერ უმეორებდა ცოლს, რომ ის არ არის დამნაშავე მის სიკვდილში, რომ ეს იყო უბედურება, მისგან დამოუკიდებელი, მას შეეძლო ამის თქმა მის სანუგეშებლად, მაგრამ ასე ფიქრობდა, თუ არა თვითონ"?

რა საძულველი არ იყო ნიკოლოზ პირველისათვის ა. პუშკინი, მაგრამ უკანასკნელის სიკვდილი ასეთ ტრაგიკულ პირობებში, მაინც სასიკვდილო იყო პალკინის რეჟიმისათვის. ის იძულებული შეიქნა მიეღო ზოგიერთი რეპრესიული ზომები მით უფრო, რომ ის გაეცნო იმ ანონიმურ წერილებს, რომლის ავტორობას მიაწერდნენ გეკკერენს, რომლებშიც მას „შეურაცხყოფდნენ" პუშკინის ცოლთან არშიყობაზე მითითებით. გეკკერენი ფაქტიურად გაძევებული იქნა რუსეთიდან. ნიკოლოზ პირველი არ დაკმაყოფილდა ამით და პუშკინის ოჯახისადმი განსაკუთრებული მზრუნველობით განიზრახა საზოგადოების მოწინავე ნაწილის აღელვების დამშვიდება: მან სახელმწიფო სალაროებიდან დაფარა პუშკინის ვალები, პენსია დაუნიშნა პოეტის ქვრივსა და შვილებს და სხვ.

მაგრამ ამით, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა დაფარვა იმის, რომ პუშკინი შეიქნა მსხვერპლი მეფის რეჟიმის და რომ ინტრიგები და ჭორები მის შესახებ წარმოადგენდნენ იმ რეჟიმის ბრძოლის იარაღს პოეტის წინააღმდეგ, რომელიც მას მიაჩნდა თავის საშიშ მტრად.

ნ. რ—ძე.



ინგლისის მთავრობის წევრნი ლორდი სენკეი—ლორდ-კანცლერი; ტომ შოუ—სამხედრო მინისტრი, კლეინს—შინაგან საქმეთა მინისტრი, სიდნეი ვებ—კოლონიების მინისტრი



ავტო-ქუჩა რკინის გზის ლიან
დაგს ზემოდან. როგორც ცნობილია ლონ
დონში რკინის გზის ხაზების და საავტომობილ
გზების დიდი სიმრავლეა, რის გამო ხშირა
ადგილი აქვს უბედურ შემთხვევებს. ამ გარემოებამ გამოიწვია ახალი პროექტის შედგენ
რომელიც თავიდან იცილებს ამ საფრთხეს.

პროექტით რკინის გზის ლიანდაგი უნდა გადაიხუროს ბეტონის საავტომობილო გზი
რომელიც ხემდეგ ქალაქ გარედ შეუერთდება არსებულ შოსეებს.

ინგლისელ ინჟინრების ამ პროექტმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ამერიკულ პრესაში.

სურათზე პროექტით გათვალისწინებული საავტომობილო გზა.



მოსკოვის ერთერთი ეკლესია, სადაც ეწყობა მეჟრაბპომ-ფილმისათვის კინო ფაბრიკა.



ჯერსეი-სიტის ნაციონალურმა ბანკმა ამერიკაში სეიფს გაუკეთა კარი, რაიც უზრუნველჰყოფს ყოველგვარ დაცემას გაცარცვის მიზნით.

თვითეული კარი იწონის 96 ტონას. თვითეულ კარს აქვს მრავალი ნაჭრეტი, საიდანაც გარეშე პირთა და ბოროტგამზრახველთა დაცემის დროს გამოდის გახურებული ორთქლი.



უდიდესი ორთქლმავალი. ორთქლმავალთა მშენებლობის ტეხნიკა წინ მიიწევს გიგანტური ნაბიჯებით.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ამერიკაში ააგეს ორთქლმავალი—გიგანტი, რომელიც თავისი გრანდიოზულობით ჩრდილავს ყველა წინად აგებულ ორთქლმავლებს.

მისი სიძლიერე უდრის 6.000 ცხ. ძალას, ბო
ბლების საერთო რიცხვი—22, სიგრძე ტენდე
49 მეტრს აღემატება. ორთქლმავალი იწო
550 ტონას. ერთი საათის მუშაობაში იგი სწვა
20 ტონა ნახშირს, ე. ი. იმდენს, რაც საჭიროა, რ
გაათბოს ორი „საშუალო" სიდიდის სახლი მთელ
ზთრის განმავლობაში.

სწორ გზაზე მას შეუძლია წაიყვანოს მატარე
სიგრძით 3 კილომეტრი.

სურათზე—ახლად აგებული ორთქლმავალი.

მთავლიტი № 1.117 ტირაჟი 4.250 3/ტ მე-5-ე სტამბა. გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლო